მეხეთის უნივერსიტეტი

№ 1-2 (272) იანვარი-თებერვალი, 2021 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

ესწრაფე სიმაღლეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად!

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებელია მხარეში

✓014

მომავლის უნივერსიტეტი

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2020-2021 სასწავლო წელს აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას შემდეგ მიმართულებებზე

განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ისტორია (ახალციხე)
- ქართული ფილოლოგია (ახალციხე, ახალქალაქი)
- ინგლისური ფილოლოგია (ახალციხე)
- დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ახალციხე)

სახელმწიფო დაფინანსებით

იურიდიული ფაკულტეტი

- საჯარო მმართველობა (ახალციხე)

სახელმწიფო დაფინანსებით

- სამართალი (ახალციხე)

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

- ეკონომიკა (ახალციხე, ახალქალაქი)

სახელმწიფო დაფინანსებით

- ბიზნესის ადმინისტრირება (ახალციხე)

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

- ინფორმაციული ტექნოლოგიები (ახალციხე)
- ეკოლოგია (ახალციხე)
- აგრონომია (ახალციხე)

სახელმწიფო დაფინანსებით

- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ახალციხე)

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ახალციხესა და ახალქალაქში

- სომხურენოვანთათვის
- აზერბაიჯანულენოვანთათვის
- აფხაზურენოვანთათვის
- ოსურენოვანთათვის

სწავლის ღირებულება 2250 ლარი

სამაგისტრო პროგრამები

- ქართველური ენათმეცნიერება
- ქართული ლიტერატურის ისტორია
- საქართველოს ისტორია
- ბიზნესის ადმინისტრირება
- ასტრონომია
- ბიზნეს-ინფორმატიკა
- აგროტექნოლოგია
- სისხლის სამართალი

სწავლის ღირებულება 2000 ლარი

განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად ფუნქციონირებს

სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროგრამა → საგამოცდო ცენტრი – გამოცდების ჩატარების ელექტრონული პროგრამით

უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი, რათა მოხალისე თითოეულ მოსწავლეს მაღალკვალიფიციური განათლება და გახდეს კონკურენტუნარიანი კადრი

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი

უნივერსიტეტში მოქმედი თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან შესაბამისი დარგის მაღალკვალიფიციური აკადემიური / მოწვეული პერსონალი, რომელთაც აქვთ იმპაქტფაქტორიან და სხვა რეფერირებად და რეცენზირებად ჟურნალებში მაღალი სამეცნიერო აქტივობა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მიმდინარე სასწავლო წელს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველად მიიღო აბიტურიენტები ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სასწავლო პროცესის დაგეგმვა

უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის დაგეგმვა ხორციელდება ECTS-ის (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) მეშვეობით.

სწავლება ხორციელდება სემესტრულად

სემესტრის მოცულობა – 30 კრედიტი (პროგრამული).

სამეცნიერო კონფერენციები

- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია მიძღვნილი უნივერსიტეტის დაარსებიდან 30 წლისთავისადმი (25 მაისი, 2020)
- განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია (27 მაისი, 2020)
- უნივერსიტეტთაშორისი IV სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია „ინფორმაციული ტექნოლოგიები და მათი გამოყენება“ (29 მაისი, 2020)
- ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია (10 ივნისი, 2020)
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია (11 ივნისი, 2020)
- ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტთა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია (12 ივნისი, 2020)
- იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო ონლაინ კონფერენცია (18 ივნისი, 2020)

საერთაშორისო ურთიერთობები

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ამერიკის, გერმანიის, ინგლისის, თურქეთის, საბერძნეთის, რუმინეთის, ესტონეთისა და სხვა ქვეყნების პარტნიორ უნივერსიტეტებთან, მათ შორის:

- მანჩესტერის უნივერსიტეტი (ინგლისი)
- ორგანიზაცია „ლოგო“ (გერმანია)
- კრაკოვის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ლოძის უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- ვარშავის პედაგოგიური უნივერსიტეტი (პოლონეთი)
- რუზომბერკის კათოლიკური უნივერსიტეტი (სლოვაკეთი)
- ალექსანდრე იოან კუზას უნივერსიტეტი (რუმინეთი)
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი)
- მანასის ეირგიზულ-თურქული უნივერსიტეტი (ეირგიზეთი)
- კავკასიის უნივერსიტეტთა ასოციაცია
- კავკასიის (ყარსის) უნივერსიტეტი (თურქეთი)
- არტაანის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ართვინის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ათათურქის უნივერსიტეტი (თურქეთი)
- ნახიჭევანის უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი)
- ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სომხეთი)

საერთაშორისო პროექტები

უნივერსიტეტში ხორციელდება 4 ინსტიტუციური განვითარების პროექტი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი თანამშრომლობს ევროპის ათეულობით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

- CURE → Erasmus+ / Cure
- ASSAT → ASSET
- CTEL → CTEL CIVIC AND TECH THROUGH ENGLISH LANGUAGE
- INTEGRITY → INTEGRITY

გაცვლითი პროექტები

- Erasmus +
- Credit Mobility (პირდაპირი მობილობა)
- მევლანა

ზამთრის, ზაფხულის და შემოდგომის სკოლები, საერთაშორისო პროექტები და სემინარები

სამეცნიერო ბიბლიოთეკა

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელიც ჩართულია EBSCOHost-ის (სამეცნიერო ჟურნალების სრულტექსტიან მონაცემთა ბაზა) ელექტრონული რესურსების სისტემაში; ხელმისაწვდომია, აგრეთვე, ელექტრონული კატალოგი Openbiblio.

უნივერსიტეტის გამომცემლობა

გამომცემლობაში იბეჭდება საავტორო წიგნები, გრიფირებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, სამეცნიერო შრომები, სარეკლამო ბროშურები და სხვა ბეჭდური პროდუქცია.

უნივერსიტეტის სტამბა ემსახურება არა მარტო სასწავლებელს, არამედ მთელ რეგიონს.

სპორტი

კულტურა

სტუდენტური თვითმმართველობა

აქტიურ სტუდენტურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი სტუდენტურ თვითმმართველობას შეაქვს. სხვადასხვა ფაკულტეტისა და კურსის სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფი გეგმავს და ახორციელებს არაერთ ღონისძიებას.

რეგიონული ახალგაზრდული ფორუმი

კურსდამთავრებულთა გამოსაშვები ცერემონია

SKYE CLUB

ექსკურსია ვარძიაში

სამომავლო გეგმები

გადავაქციოთ ახალციხე და ახალქალაქი საუნივერსიტეტო ქალაქებად!

თითოეული კურსდამთავრებული იყოს პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრი!

contaqt@sjuni.edu.ge
www.sjuni.edu.ge

დაგვიკავშირე მომავალი ჩვენ და გახდი საუკეთესოთა შორის საუკეთესო!

პანდემია და სასწავლო პროცესი

ნიკოლოზ ახალკაცი
რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

კოვიდ პანდემიამ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არაორდინალური მდგომარეობა შექმნა. არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო, რომელზეც არსებულმა ვითარებამ ნეგატიური გავლენა არ მოახდინა. ყველა სფეროს, რა თქმა უნდა, ერთნაირად არ დააწვა პანდემიით გამოწვეული სიმძიმე, ზოგიერთ სფეროზე გამანადგურებელი გავლენა იქონია, ზოგიერთმა კი დიდი დანაკარგებით გაუძლო შექმნილ ვითარებას; არის სფეროები, რომლებსაც შედარებით მსუბუქად შეეხო. ასეთ სფეროს განეკუთვნება განათლება.

არსებულ მდგომარეობასთან გასამკლავებლად, განათლება, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა; ეს შეეხო როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლესი განათლების სფეროს. ამას ხელი შეუწყო თანამედროვე ტექნოლოგიებმა. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნების განვითარების დონე არაერთნაირია, ყველა ქვეყანაში ამ საკითხის მოგვარება სხვადასხვა ხარისხით ხდებოდა და ხდება დღესაც, მაგრამ გამოსავალი ყველგან ერთია – დისტანციური სწავლება.

საქართველოში განათლება სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გასული წლის გაზაფხულზე გადავიდა, უფრო ზუსტად – მარტის თვიდან. ნებისმიერ სიახლეზე გადასვლა, ასე ვთქვათ, ადაპტაციის პროცესი, გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული და დროსაც მოითხოვს, მაგრამ სწავლების ყველა საფეხურისთვის მოკლე დროში გამოიძებნა ელექტრონული სწავლების საშუალებები (ტექნოლოგიები, ელექტრონული პროგრამები და სხვა) და მეთოდები. აპრილ-მაისისთვის სწავლება ყველა საფეხურზე, ფაქტობრივად, დისტანციურ რეჟიმზე იყო გადასული.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისტანციური სწავლების რეჟიმთან ადაპტირება დიდ სირთულეებთან არ ყოფილა დაკავშირებული, რადგან უნივერსიტეტში 2012 წლიდან ფუნქციონირებს ელექტრონული სწავლების სპეციალური პროგრამა, რომელიც ადაპტირებულია დისტანციური სწავლების სამივე რეჟიმზე – სინქრონული, ასინქრონული და შერეული/ჰიბრიდული.

წინა წლებში ეს პროგრამა სრული დატვირთვით არ გამოიყენებოდა, ძირითადად, ვიყენებდით ელექტრონული გამოცდების ჩასატარებლად, მაგრამ შექმნილმა მდგომარეობამ გვიკარნახა, მოკლე დროში მომხდარიყო სწავლების პროცესში პროგრამის სრულყოფილად ჩართვა: პროფესორ-მასწავლებლებთან ჩატარდა სპეციალური ტრეინინგები, შეიქმნა ვიდეო ინსტრუქციები. პროგრამის ფუნქციებს ზრდის ისიც, რომ მასში ჩაშენებულია კიდევ ორი პროგრამა – BigBlueButtonBN და Turnitin Assignment. პირველი ემსახურება ვიდეო ჩართვებს, ხოლო მეორე გამოიყენება პლაგიატის პრევენციისათვის. ერთი სიტყვით, პროგრამა უკვე გასული სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სრულყოფილად გამოიყენებოდა სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვისათვის.

გარდა აღნიშნული პროგრამისა, აკადემიურ პერსონალს მიეცა სრული აკადემიური თავისუფლება, დისტანციური სწავლებისათვის გამოეყენებინათ თანამედროვე კომუნიკაციის სხვა საშუალებები, როგორიცაა skype, zoom, messenjer, ელექტრონული ფოსტა და სხვა. სტუდენტებს, ვისაც ჰქონდა ინტერნეტის პრობლემა, უნივერსიტეტი ორგანიზებულად ახდენდა ამ პრობლემის მოგვარებას. შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა, მიუხედავად ასეთი არასტაბილური სიტუაციისა.

2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, როდესაც პანდემიის მეორე ტალღა დაიწყო, უნივერსიტეტი შედარებით მომზადებული შეხვდა ამ პროცესს. აქ მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ სასწავლებლის ტექნიკური მზაობა, არამედ პერსონალის ფსიქოლოგიური მზაობა. სემესტრის დასაწყისში სასწავლო ცხრილები მზად იყო როგორც დასწრებული სწავლების რეჟიმისთვის, ასევე დისტანციური და შერეული/ჰიბრიდული სწავლებისათვის. თავიდან შერეულ რეჟიმში დავიწყეთ სწავლა, მაგრამ ვირუსის სულ უფრო და უფრო მზარდი გავრცელების პირობებში, სრულ დისტანციურ სწავლებაზე გადავედით. აქვე ცალკე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, გამორჩეულად სხვა დანარჩენი უმაღლესი სასწავლებლებისაგან, მისი ასეთი მზაობის გამო, ნება დართო სწავლება განხორციელებულიყო დასწრებულ და შერეულ რეჟიმში. ამიტომ, აკადემიურ პერსონალს დაერთო ნება, მისი სურვილის შემთხვევაში, სწავლება დასწრებულად განეხორციელებინა. ეს აუცილებლად შეთანხმებული უნდა ყოფილიყო სტუდენტებთან და მხოლოდ მათი თანხმობის შემთხვევაში წარმართულიყო სწავლება დასწრებულად. ეს ნებართვა მხოლოდ რამდენიმე ლექტორმა გამოიყენა სემესტრის დასწყისში, ოქტომბრის მეორე ნახევრიდან სწავლება, ძირითადად, დისტანციურად ხორციელდებოდა.

ცალკე მინდა შევეხო საგამოცდო პროცესს. როგორც წინა, ასევე მიმდინარე სემესტრში გამოცდები (შუალედური, დასკვნითი) დისტანციურად ჩატარდა. საგამოცდო პროცესისათვის ძირითადად Moodle პროგრამა გამოიყენებოდა. მცირედ, მაგრამ მაინც გამოყენებული იყო კომუნიკაციის სხვა საშუალებები. ამაში აკადემიურ პერსონალს შეზღუდვა არ ჰქონია, მაგრამ რეკომენდებული გამოცდისათვის Moodle პროგრამაა. სხვა საშუალებების გამოყენება, ძირითადად, სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით იყო განპირობებული. რაც შეეხება გამოცდების სახეებს, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტარდებოდა ყველა სახის გამოცდა (ელექტრონული, ზეპირი, წერილობითი, შერეული). Moodle პროგრამა ყველა სახის გამოცდის ჩატარების საშუალებას იძლევა.

საინტერესოა გამოცდების შედეგები. წინა სემესტრის გამოცდების შედეგების კვლევამ გვიჩვენა, რომ შეფასებები გაზრდილი იყო წინა სემესტრების შეფასებებთან შედარებით, როდესაც სწავლება ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობდა. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან შექმნილ ექსტრემალურ სიტუაციაში სტუდენტებს გარკვეული შეღავათები ჰქონდათ.

საინტერესო იქნება მიმდინარე სემესტრის გამოცდების შედეგების ანალიზი. ბოლო ორი სემესტრის გამოცდების შედეგების ანალიზი საშუალებას მოგვცემს, სასწავლო პროცესის დაგეგმვის საქმეში გარკვეული კორექტირება შევიტანოთ.

ინფორმაციები

● **რვა** ქართული უნივერსიტეტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისა და დირექტორების პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელებას აგრძელებს.

27 იანვარს ხელი მოეწერა მეორე წლის საგრანტო პროგრამას, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები და მოწვეული ტრენერები ჩაატარებენ ტრენინგებსა და ვებინარებს, შექმნიან სასწავლო მასალებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებაში, უზრუნველყოფენ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების ჩამოყალიბებას თითოეულ სკოლაში.

USAID საბაზისო განათლების პროგრამის პარტნიორი უნივერსიტეტები არიან:

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი; ზუგდიდის შოთა მესხიას სახ. სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; ი.გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი; სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; საქართველოს უნივერსიტეტი; სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

● **1 თებერვალს,** პროგრამა Teams-ის საშუალებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** სასწავლებელში მიმდინარე სიახლეები ადიგენის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებს გააცნო.

შეხვედრას ესწრებოდა ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ინგა ბოჭორიშვილი,** რომელმაც უნივერსიტეტისა და სკოლების ურთიერთობის აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.

უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და ადიგენის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა.

● **11 თებერვალს,** პროგრამა Teams-ის საშუალებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** სასწავლებელში მიმდინარე სიახლეები ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის დირექტორებს გააცნო.

შეხვედრას ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **დავით ზედგინიძე** ესწრებოდა. შეხვედრა ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა.

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

„საუბრები რექტორთან“

სულ სხვაა, როდესაც თავად რექტორი გპასუხობს

„როდის?“, „რატომ?, „რა?“, „როგორ?“, „სად?“ – ამ და სხვა კითხვითი წინადადების მაწარმოებელ სიტყვებს იყენებენ სტუდენტები, როდესაც „საუბრები რექტორთან“ მიმდინარეობს. ეს არის ტრადიციად ქცეული შეხვედრები, რომელიც ყოველი თვის ბოლოს იმართება. დახურულ კარს მიღმა, სადაც რექტორი სტუდენტების პირისპირ რჩება, ყველაზე გულწრფელი გარემო იქმნება.

ყველაფერი კი 2018 წელს დაიწყო, როდესაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩეულ იქნა ქალბატონი მაკა ბერიძე. მისი ინიციატივა იყო სტუდენტებთან სისტემატური არაფორმალური ხასიათის შეხვედრები. იდეის განხორციელება და ორგანიზება საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას დაეკისრა. პირველი შეხვედრა 2018 წლის აპრილის ბოლოს შედგა და მას შემდეგ ყოველთვიურად იმართება „საუბრები რექტორთან“. აღსანიშნავია, რომ რამდენჯერმე გამოიკვეთა აუცილებლობა და აღნიშნული ფორმატის შეხვედრა თვეში ორჯერ გაიმართა.

„საუბრები რექტორთან“ იმართება ყველგან: უნივერსიტეტის პირველი, მეორე და მესამე კორპუსის სხვადასხვა აუდიტორიებში. ყველაზე დასამახსოვრებელი შეხვედრა 2018 წლის ივნისში იყო, როდესაც რექტორი და სტუდენტები მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პირველი კორპუსის ეზოში, გრიგოლ ხანძთელისა და ივანე ჯავახიშვილის ძეგლების გარემოცვაში მსჯელობდნენ.

სტუდენტებისთვის შეხვედრებზე მონაწილეობა ნებაყოფლობითია. რექტორი წინასწარ შერჩეულ თარიღსა და დროზე დათქმულ ადგილზე მიდის და დაელოდება, ვინ მივა მასთან საუბროდ. მნიშვნელობა არ აქვს, ეს იქნება ერთი სტუდენტი თუ სტუდენტთა ჯგუფი. ქალბატონი მაკა ყოველთვის მზად არის, მოისმინოს სტუდენტთა სურვილები, იდეები, შენიშვნები და რჩევები.

„საუბრები რექტორთან“ არის უნიკალური შესაძლებლობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეული

სტუდენტისთვის. ეს არის ურთიერთობის შესანიშნავი ფორმატი, რომელიც პირველ რიგში, სტუდენტების თვალით დანახული პრობლემისა და საჭიროების იდენტიფიცირებისკენ და შემდეგ – მოგვარებისკენ არის მიმართული. რექტორმა შეძლო და სტუდენტებს ადმინისტრაციული ლაბირინთი და ბიუროკრატიული ჯაჭვი ააცილა თავიდან. ქალბატონმა მაკამ თავად იკისრა პრობლემის მოგვარების გზების პოვნა, შესაბამის სამსახურებამდე მიტანა და მოგვარება.

ამ დროის განმავლობაში არაერთი საკითხი წარმატებით მოგვარდა. რთულია, ყველა წამოჭრილი საკითხის შედეგზე ვისაუბროთ, რადგან შეხვედრები კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიასაც იძლევა, მაგრამ აუცილებელია, ფართო საზოგადოებას ახლოდან გავაცნოთ „საუბრები რექტორთან“.

სტუდენტების მიერ წამოჭრილი საკითხები, ძირითადად, შემდეგ თემებს ეხება: გამოცდები, სტუდენტისა და პედაგოგის ურთიერთობა, სტუდენტური სივრცეები, სახელმძღვანელოთა ელექტრონული ბაზა, სასწავლო ცხრილები, სწავლის საფასურის გადახდის ვადები, თეორიული ცოდნის პარალელურად პრაქტიკა, ახალგაზრდული პროექტები და აქტივობები...

პანდემიის დროს გამოიკვეთა პრობლემა – სტუდენტთა გარკვეული ნაწილი, ინტერნეტზე ხელმიუწვდომლობის გამო, ვერ ახერხებდა დისტანციურ მეცადინეობებში მონაწილეობას. ეს ამბავი სწორედ მაშინ გაჟღერდა, როდესაც „საუბრები რექტორთან“ მიმდინარეობდა. ქალბატონმა მაკამ დაუყოვნებლივ მიიღო პრობლემის მოსაგვარებლად ზომები და აღნიშნული პრობლემის მქონე თითოეული სტუდენტისთვის ინტერნეტის საფასურის გადახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უზრუნველყო. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან გამოიყო 4500 ლარის ოდენობის თანხა, რითაც 150-მდე სტუდენტმა შეძლო დისტანციური სწავლისთვის ინტერნეტის შეძენა. გარდა ამისა, უნივერსიტეტში აღმოჩდნენ ისეთი სტუდენტები, რომელთაც არ ჰქონდათ კომპიუტერული მოწყობილობა, რითაც შეძლებდნენ დისტანციური სწავლის პროცესში სრუყოფილ მონაწილეობას. რექტორმა ამ პრობლემის აღმოფხვრაც მყისიერად შეძლო და სტუდენტებს კომპიუტერები, ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით საკუთრებაში გადაეცათ. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მითითებით, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის განყოფილების სპეციალისტებმა 5 სტუდენტის სახლში თავად მიიტანეს და გამართეს სასწავლებლის ბაზაზე არსებული კომპიუტერები.

თვიდან თვემდე იცვლება აქტუალურ საკითხთა თემატიკა და შეკითხვები ყოველთვის განსხვავებულია. სტუდენტები რექტორს ეკითხებიან ყველაფერს, ზოგჯერ იმასაც, რაც უკვე ისედაც კარგად იციან. ამ დროს ვფიქრობ ხოლმე, ალბათ, სულ სხვაა, როდესაც თავად რექტორი გპასუხობს.

პანდემიის გამო დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე რომ გადავედით, პირველი, რაც გონებაში ვერ აღვიქვი, რექტორთან ტრადიციად ქცეული შეხვედრები იყო. ვფიქრობდი და ვწუხდი, სახლში დარჩენის გამო, სტუდენტები რექტორს ველარ შეხვდებოდნენ, მაგრამ არა! ქალბატონმა მაკამ ამ შემთხვევაშიც მარტივი გამოსავალი იპოვა და „საუბრებმა რექტორთან“ ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა. შეხვედრის ადგილმა – აუდიტორიიდან სოციალურ ქსელში, სადაც სტუდენტთა დახურულ ჯგუფში რექტორი პირდაპირი ჩართვის საშუალებით ამყარებს სტუდენტებთან კომუნიკაციას. სტუდენტები, კომპიუტერებისა და ტელეფონების მიღმა, კიდევ უფრო მეტად აქტიურობდნენ.

ახლაც, დეკემბრის თვის ბოლო დღეებია. უკვე დროა „საუბრები რექტორთან“ დავგეგმოთ. ჯერ ქალბატონ მაკას შევუთანხმდები, შემდეგ სტუდენტებთან დავაანონსებ, მათთვის სასურველ თარიღს შევარჩევთ, შემდეგ კვლავ რექტორს ვაცნობებ შერჩეულ დროს და ინტერესით დაველოდები შეხვედრას.

მათ, ვისთვისაც შეხვედრები დახურულია, გიზიარებთ სტუდენტების შთაბეჭდილებებს და შეფასებებს, რომლებსაც რექტორის ონლაინ ჩართვის პარალელურად აკომენტარებდნენ: „ყოველთვის მოუთმენლად ველოდები ამ შეხვედრებს, რადგან ჩემი სათქმელის თქვენამდე მოტანის საშუალება მეძლევა“; „სხვა უნივერსიტეტებს არ ჰყავთ ჩვენნაირი რექტორი“; „იმედი მაქვს, თქვენი შუამავლობით მოვაგვარებთ ამ საკითხს“; „გმადლობთ ამომწურავი პასუხისთვის“.

ტრადიციად ქცეულ შეხვედრებზე ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი საკითხი. სტუდენტთა გამოხმაურება და მათი მხრიდან მიღებული დადებითი შეფასებები კი არის ინდიკატორი იმისა, რომ „საუბრები რექტორთან“ ყოველთვის უნდა არსებობდეს, რათა საუნივერსიტეტო გარემო მუდმივად იხვეწებოდეს და უმჯობესდებოდეს სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით.

ნანუკა მიქელაძე

ანა არუთუნიანი - კონკურსების გამარჯვებული

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტმა **ანა არუთუნიანმა** გაიმარჯვა ილია ჭავჭავაძის ცენტრის ორგანიზებულ ესსეების კონკურსში სახელწოდებით „ბედნიერი ერი — Quo Vadis?“

ანას თემა დასავლურ ღირებულებებს და საქართველოს ევროატლანტიკურ არჩევანს ეხებოდა.

ანამ, ასევე, გაიმარჯვა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ორგანიზებულ ესსეების კონკურსში. მისი თემა ეხებოდა საჯარო სამსახურის ლეგალურ საფუძვლებს. საბოლოოდ გამოვლინდა 10 საუკეთესო ესსე, რომლებიც წარდგენილი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე; 10 მომხსენებლიდან 2 გამარჯვებული გამოვლინდა – თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გრიშა ლაბაძე და ანა არუთუნიანი.

კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია ნიჭიერმა და ბეჯითმა გოგონამ საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომა”-ს მიერ ორგანიზებულ სტატიების კონკურსში.

კონკურსანტებმა სტატიები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ადრეული ქორწინების შესახებ დაწერეს. საბოლოოდ გამოვლინდა 7 გამარჯვებული ჟურნალისტი, სხვადასხვა ტელევიზიებიდან. ანა სომხურენოვან ინტერნეტ-ტელევიზიას წარადგენდა, სადაც იგი გადაცემის „საღამოს საუბრების” წამყვანია.

ინფორმაციები

● **სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტმა Erasmus+ საერთაშორისო პროექტის – PSY-ს ფარგლებში მოიპოვა გრანტი – **„საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტებისთვის ფსიქოლოგიური კონსულტაციის ცენტრების შექმნა”** (Establishment of Psychological Counseling Centers at Georgian HEIs for Students).

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 5 თებერვალს, შედგა სამუშო შეხვედრა პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლების თანდასწრებით.

საქართველოს უნივერსიტეტებში სტუდენტთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სამსახურების განვითარებასა და მუშაობის მნიშვნელობაზე ისაუბრა Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის კოორდინატორმა ქალბატონმა **ლიკა ღლონტმა** და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ბატონმა **მინდია ოკუჯავამ.**

შეხვედრას, რომლის მსვლელობისას განხილული იქნა 2021 წლის პირველი ექვსი თვის სამუშაო გეგმა, ორგანიზება გაუწია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. პროექტის კოორდინატორია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

აღნიშნულ პროექტში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, ჩართულია 8 ქართული და 3 საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი.

● **19 თებერვალს,** პროგრამა Teams-ის საშუალებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** სასწავლებელში მიმდინარე სიახლეების შესახებ შეხვედრა გამართა.



შეხვედრას ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ტრისტან მურადაშვილი,** ასევე, სკოლის დირექტორები, მასწავლებლები და მოსწავლეები ესწრებოდნენ.

საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა, რომელიც უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისა და ასპინძის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ორგანიზებით მოეწყო, ინტერაქციულ რეჟიმში წარიმართა.

● **24 თებერვალს,** მწერალი **შორენა ხუხუა** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ონლაინ სივრცეში შეხვდა.

მწერალმა ისაუბრა თუ როგორ იწერებოდა მისი ბესტსელერი წიგნი **„შემოვალ ეტლით”.**

შეხვედრა დიალოგის რეჟიმში მიმდინარეობდა და სტუდენტებმა ავტორისგან მათთვის საინტერესო არაერთ შეკითხვაზე მიიღეს პასუხი.

შორენა ხუხუა ამავდროულად გახლავთ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, ლიტერატურის თეორიის მაგისტრი, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი, ლიტერატურული პრემია „ლიტერას” ლაურეატი, დაჯილდოებულია სახელმწიფო მედლით „სამოქალაქო გმირობისთვის”.

შეხვედრა მწერალ შორენა ხუხუასთან

● **25 თებერვალს** „საუბრები რექტორთან” გაიმართა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ** სწავლის ფორმატის შესახებ მიანოდა სტუდენტებს ინფორმაცია.

მოგეხსენებათ, საგაზაფხულო სემესტრი 22 თებერვალს დისტანციურად დაიწყო, ხოლო პირველი მარტიდან სწავლა შერეული ფორმატით გაგრძელდება. შესაბამისად, მრავალრიცხოვანი ჯგუფებისთვის ლექციები დისტანციურად ჩატარდება, ხოლო სემინარები და სწავლების პრაქტიკული ნაწილი – აუდიტორიებში.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირისპირ რეჟიმში მეცადინეობას რეგულაციებისა და რეკომენდაციების სრული დაცვით აგრძელებს.

ინფორმაციები უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან

სამშობლოს ღაუღლელი მსახური

მოკრძალებული მაღლობა უნივერსიტეტის მუღშემატკივარს...

ქართულმა მეცნიერებამ, საგანმანათლებლო კერებმა, მათ შორის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, დიდი დანაკლისი განიცადა დიდი მეცნიერისა და სასიძადულო მამულიშვილის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალებით.

მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი:

მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ინფორმაცია პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალების შესახებ. ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ არაერთ წინააღმდეგობა თუ ბრძოლაგამოვლილ მეცნიერს ვერაგი ვირუსი დაამარცხებდა. სამწუხაროდ, საიუბილეო წელი უკანასკნელი აღმოჩნდა მისთვის.

საკუთარი ხედვის ერთგულებით, დაბრკოლებების მიუხედავად ერთხელ არჩეულ გზაზე ბოლომდე სვლითა და სამშობლოს დაუღლელი მსახურებით დარჩა ისტორიას ტარიელ ფუტკარაძის სახელი. ზემოთქმული ეხება მისი, როგორც მოქალაქის და როგორც მეცნიერის ცხოვრებას.

ქართველოლოგიაში თანამედროვე საუნივერსიტეტო სივრცის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მონაწილესა და, ხშირ შემთხვევაში, სტიმულის მიმცემს, შესწევდა უნარი, საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტთან ჰქონოდა ურთიერთობა და შეექმნა ერთიანი სამეცნიერო გარემო.

პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს ყოველთვის კარგად ესმოდა, რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ საქართველოში საგანმანათლებლო კერის არსებობა, ამიტომ დასაწყისიდანვე დაუჭირა მხარი უნივერსიტეტის იდეას სამცხე-ჯავახეთში და შემდგომშიც არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება.

სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად გამოხატავდა თანადგომას: კითხულობდა ლექციებს, მონაწილეობდა სამეცნიერო ღონისძიებებში, მოიაზრებდა უნივერსიტეტს საკუთარ ინიციატივებსა და გეგმებში. შესაბამისად, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის გარდაცვალებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ერთ-ერთი გულშემატკივარი დაკარგა.

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე დააკლდებათ სტუდენტებს, ახალგაზრებს, რომელთანაც ურთიერთობის განსხვავებული ნიჭი ჰქონდა. რამდენიმე შეხვედრა საკმარისი აღმოჩნდებოდა, რომ სტუდენტებში გაზრდილიყო მოტივაცია. კიდევ ერთი თვისება გამოარჩევდა მას, როგორც პედაგოგს – ახალგაზრდები სალექციო კურსის დასრულების შემდეგ მეგობარს იძენდნენ. თუ სალექციო კურსის ხანგრძლივობა იზღუდებოდა, მეგობრობას არ ჰქონდა ვადები... თანაც, თითოეული სტუდენტი სწორედ იმას იძენდა მასთან ურთიერთობისას, რაც სჭირდებოდა.

გამორჩეული იყო მისი ურთიერთობა კოლეგებთან. დახმარების, მხარდაჭერის მუდმივი მზაობა იგრძნობოდა მისგან. უნივერსიტეტში ჰყავდა ძველი თანამებრძოლები, მეგობრები და შეიძინა ბევრი ახალი თანამოაზრე. ყველას თავისი ტარიელ ფუტკარაძე ჰყავდა და ეიმედებოდა – სტუდენტსაც და კოლეგასაც.

მისი გარდაცვალება ფიზიკური დაშორებაა მესხეთთან, თორემ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ნაშრომები დარჩება და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგები არაერთხელ იმსჯელებენ მის თეორიებზე, მოსაზრებებზე, გაიმართება დისკუსიები, გაჩაღდება პოლემიკა და სახეცვლილად გაგრძელდება ტარიელ ფუტკარაძის სიცოცხლე...

დასანანია, რომ დარჩა ბევრი დაგეგმილი, განუხორციელებელი საქმე, ჩაფიქრებული იდეა, აუხდენელი ოცნება, თუმცა ღირსეული ოჯახის წევრები, მისი აღზრდილები დაასრულებენ დაწყებულ საქმეებს.

მისი სახელი არაერთხელ გაიჟღერებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში და ეს იქნება ჩვენი მოკრძალებული მადლობა, გამოხატული საქართველოს ღირსეული მამულიშვილისადმი, ქართველოლოგისადმი, მეცნიერისადმი, რომელსაც კიდევ ბევრი კეთილი საქმის ძალა და უნარი შესწევდა. „საღირალ პატივს“ კი დრო და ისტორია მიაგებს.

მერაბ ბერიძე, პროფესორი:

ტარიელთან მე დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. ტარიელის ჯგუფმა პირველი კურსი რომ დაასრულა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, წამოვედით ასპინძის რაიონში საზაფხულო შრომით საქმიანობაში მონაწილეობისათვის.

შრომა ერთი მხარე იყო მაშინდელი სტუდენტებისათვის. ამასთან ერთად, მოვიარეთ მთელი მესხეთი: ვარძია, კუმურდო, ახალქალაქი, ხერთვისი და სხვა

მრავალი. ტარიელს ლიდერის გამოკვეთილი თვისებები ჰქონდა. მისთვის და მისი მეგობრებისთვის მესხეთი იქცა ისტორიის, ეროვნულობის, სამშობლოს განსაკუთრებული სიყვარულის სტიმულად.

ტარიელი ყოველთვის წინ უსწრებდა მოვლენებს, ხედავდა იმას, რაც შეიძლება სხვისთვის ჩვეულებრივ ამბად ჩანდა. ამიტომაც იყო, რომ თსუ ახალციხის ფილიალის ჩამოყალიბებისთანავე ამოუდგა ჩვენს უნივერსიტეტს მხარში და ბოლომდე მის ერთგულ მეგობრად დარჩა.

1990 წელს ჩვენი უნივერსიტეტის გახსნიდან მალევე, როდესაც ყალიბდებოდა საუნივერსიტეტო სტრუქტურა, ჩაუდგა სათავეში ქართული ენის კათედრას. მალე ამ ყველაფერს მოჰყვა მისი დიდ პოლიტიკაში წასვლა, მაგრამ, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, მუდამ მხარში ედგა ჩვენს უნივერსიტეტს. იყო ჩვენი პროფესორი, კითხულობდა ლექციებს და განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა სტუდენტებში. ხელმძღვანელობდა სამაგისტრო და სადოქტორო თემებს, რომელთა დასრულებაც, სამწუხაროდ, არ დასცალდა.

მისი დაუდგრომელი ბუნება გადამდები იყო გარშემო მყოფთათვის. იმდენად უყვარდა ერთიანი საქართველო და იდეა ერთიანი სამშობლოსი, რომ ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მესხეთში, დიდი სიყვარულით სარგებლობდა.

კონფერენციები, სამეცნიერო შეხვედრები მისთვის იდეების, სამომავლო გეგმებისა და სიახლეებისათვის სწრაფვის საშუალება ხდებოდა.

ცდილობდა თავისი ერთი მეგობარი მეორესთან დაეკავშირებინა და ამით სასურველი ადამიანები შემოეკრიბა გარშემო.

უყვარდა სიცოცხლე, ბრძოლა, მუხლჩაუხრელი შრომა, რაც კარგად ჩანს მის საკონფერენციო გამოსვლებში, შრომებში და მონოგრაფიებში.

ტარიელ ფუტკარაძის წასვლა ამ ქვეყნიდან უმძიმესი დანაკლისია ჩვენი ქვეყნისთვის, თითოეული ჩვენგანისათვის.

გულიკო ბექაური, ***ასოცირებული პროფესორი:***

უამრავი სიტყა არსებობს ქართულ ენაში, რომელიც კარგად გადმოსცემს ადამიანის სევდას, სიხარულს, დამოკიდებულებას, შეფასებას და ასე შემდეგ. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ძალიან ძნელია, თქვა შენი სათქმელი, გადმოსცე განცდა, რომელიც გაწუხებს, შეაფასო პიროვნება, რომელმაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე დიდი და განსხვავებული კვალი დაამჩნია მეცნიერებას, განათლებას, ეროვნულ ღირებულებებს და, ზოგადად, პიროვნების თავისუფლების კონცეფციას.

საშინელი გულისტკივილით ვწერ ტარიელ ფუტკარაძეზე, რომლის გარდაცვალებამ ყველას ძალიან ატკინა გული. როგორ ახერხებდა მთელი სამყაროს სიყვარულს და მეგობრობას, ეს კიდევ ცალკე სათქმელია, ალბათ.

ადამიანი, რომელსაც ადვილად ვერ დაახასიათებ; ტკივილი, რომელსაც ადვილად ვერ აღწერ; ძალიან განსხვავებული, ძალიან პატრიოტი, ძალიან დიდი მეცნიერი და პედაგოგი, ადამიანი – საოცრება, ადამიანი – სული და გული, ადამიანი – მეგობარი, ლხინისა და ჭირის გამზიარებელი... მერედა, ვისი? პასუხი ერთია – მთელი საქართველოსი, იმ ქართველებისა, რომლებიც უცხო მიწაზე ცხოვრობენ და საქართველოს მონატრებაში ატარებენ სიცოცხლეს. ბატონი ტარიელი მათი დიდი გულშემატკივარი და მეგობარი იყო.

მიჭირს წერა იმ შიშით, რამე შეცდომა არ დავუშვა და იქაც არ ეტკინოს. ყველგან სიმართლეს და სიზუსტეს ეძებდა, ყველას წინაშე თავს ვალდებულად თვლიდა, რომ მაქსიმალურად დახმარებოდა და დარდი შეემსუბუქებინა.

მიჭირს წარსულში ბატონ ტარიელზე საუბარი. გული მტკივა და ერთადერთი კითხვა მაქვს სამყაროსთან – რატომ? რატომ? რატომ?

ხშირად გვიწევდა ახალციხიდან თბილისში ერთად მგზავრობა. ერთხელ დედამ დაურეკა გზაში; როგორ ხარ, ჩემო დედაო, ჰკითხა.

– ღმერთმა კარგად გიმყოფოთ-მეთქი, ვუთხარი და ცრემლები წამომივიდა. „ეგეთები არ გამაგონოო, გამიბრაზდა, შენ რომ ცუდად იქნები, იქ შენ მშობლებს ძალიან ეტკინებაო“. როგორ სტკივა ახლა ყველას უთქვენობა, რა უნდა უთხრათ თქვენ დამწუხრებულ ოჯახს, ყველას, ვინც თუნდაც ერთხელ მაინც დაგლაპარაკებიათ?!

არასდროს დავიჯერებ, რომ თქვენ ცოცხალი აღარ ხართ. თქვენ ყველგან ხართ, თბილისში, ქუთაისში, ახალციხეში, ბათუმში, თურქეთში, ფერეიდანში, ყველგან, ყველგან, მთელ დედამიწაზე, სადაც კი შეგეძლოთ ქართული სიტყვა გეთქვათ, თან ისე ძლიერად, რომ არავის დავიწყებოდა, იმიტომ, რომ თითოეული თქვენი სიტყვა და აზრი მართალი, სიკეთითა და სამშობლოს სიყვარულით გამთბარი იყო.

არ არსებობს არანაირი სიტყვა, რომელიც სრულად გადმოსცემდა ამ დიდ ტკივილს მისი სახით... საუკეთესო მეცნიერი, დიდებული პიროვნება, პედაგოგი და მეგობარი დავკარგეთ... რამდენი რამ დარჩა აუხდენელი... რამდენი რამ დარჩა სათქმელი...

როგორ მენანებით, როგორ მაკლიხართ, ბატონო ტარიელ! ტკივილი უზომოდ დიდია, ისეთი, ყოველთვის რომ თავს შეგახსენებს და სამყაროს სიმუხთლეზე დაგაფიქრებს...

მუდამ გამორჩეული, ხალისიანი, სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ადამიანი, ასეთი იყო ჩვენი ტარიელ ფუტკარაძე, ჩვენი მეგობარი, ღირსეული მამულიშვილი, ყველგან და ყველასთვის გამორჩეული პიროვნება.

მშვიდობით, ბატონო ტარიელ...

მაია ძუძჩიშვილი, ***ასოცირებული პროფესორი:***

ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის დღიდან ვიცნობდი, თუმცა, შორიდან. მისი პირადად გაცნობის პატივი დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში მერგო. ბატონი ტარიელი „ქართველოლოგიის შესავალს“ გვიკითხავდა. დღესაც თვალწინ მიდგას მისი პირველი ლექცია – საოცარი ენთუზიაზმი, მაღალი ერუდიცია, სამშობლოს გულანთებული სიყვარული იგრძნობოდა თითოეულ ჟესტსა და ფრაზაში. გულწრფელი, თბილი და კოლეგიალური ურთიერთობები ჰქონდა არამარტო ჩვენთან – დოქტორანტებთან, არამედ ყველა სტუდენტთან. მისი შემართება, მხნეობა და ოპტიმიზმი საოცრად გადამდები იყო, მასთან ყოველი შეხვედრისას რაიმეს ახალს სწავლობდი, გამხნევებდა და საკუთარი ძალების რწმენას გმატებდა...

ბატონო ტარიელ, ძალიან მწყდება გული... თქვენ დააკლდით ყველას – თქვენს ოჯახს, ახლობლებს, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო საზოგადოებას და მათ შორის ჩვენც, თქვენ ყოფილ დოქტორანტებსა და მომავალ კოლეგებს.

ნათელი თქვენს ღირსეულ ხსოვნას.

ნათელა მელიქიძე, ***ფილოლოგიის დოქტორი:***

„ქართველოლოგიის აქტუალურ პრობლემებს“ გვიკითხავდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ქართველოლოგიის დარგებზე, ქართველთა თვითსახელწოდებაზე, ჩვენს თავდაპირველ საცხოვრისზე, ქართველთა ეთნოგენეზისზე, საერთო ქართველურ ენაზე, ქრისტიანობამდელ ქართულ კულტურაზე, ქართულ ხელნაწერებზე, ქართულ ანბანზე, ქართული მწერლობის ძირითად ტენდენციებზე, ქართველთა ეროვნულ ხასიათზე, ქართველური მემკვიდრეობის გადარჩენის გზებზე გვესაუბრებოდა...

ქართულით იყო მთელი მისი პიროვნება გაჯერებული: სულით, გულით, სიტყვით, საქმით!

ეს დაუვიწყარი შაბათები – მსჯელობის, კამათის, აზრის გაცვლა-გამოცვლის, დღესასწაულად იქცეოდა ხოლმე და ამ ყველაფერს ტარიელ ფუტკარაძის პროფესიონალიზმი, საქმის სიყვარული ერქვა სახელად.

ყოველთვის ღიმილით მოგვმართავდა. ღიმილი ამშვენებდა კათედრასთან, კონფერენციაზე, სუფრასთან, წიგნით ხელში, კალმით, ცარცით, სასმისით... ამ

ღიმილის მიღმა დიდი სევდა და წუხილიც იკითხებოდა: ძნელბედობაგადავლილი დღეების, დასეტყვილი ქვეყნის, დაკარგული თანამებრძოლების...

2018 წლის შემოდგომაზე ჩვენს უნივერსიტეტში ქართველური ენათმეცნიერების მიმართულებით პირველი სადისერტაციო დაცვა შედგა და კოლეგიის თავმჯდომარეობა ბატონ ტარიელს სთხოვეს. მახსოვს, როგორ მიმართა კოლეგებს, მოწვეულ სტუმრებს, სადისერტაციო საბჭოს წევრებს, მე – როგორც „დღის დედოფალს“, დარბაზს: ნებისმიერი დაცვა საზეიმო შეხვედრაა ჩვენი და მჯერა, ახლაც ღირსეული დაცვა იქნებაო... მიულოცა უნივერსიტეტს, ბატონ მერაბს, როგორც დისერტაციის ხელმძღვანელს და სამცხე-ჯავახეთის მოამაგე მკვლევარს. ემოციურად ისაუბრა ჩემს ბიოგრაფიაზე, დოქტორანტურაში სწავლების ეტაპზე და რაც ყველაზე მეტად დაგვამახსოვრდა – მიესალმა დისკუსიის ფორმატს, სწორედ ეს ქმნის აკადემიურ გარემოსო, არ არის აუცილებელი ყველა ერთნაირად ვფიქრობდეთ, ერთ ხმაში ვმღეროდეთო, მრავალხმიანი სიმღერის ხალხი ვართ და კარგია აზრთა სხვადასხვაობაო.

არ გამოუტოვებია არც ერთი ონომასტიკური კონფერენცია, რომელიც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიშაა და ყოველთვის აქტუალური თემებით მოუხაროდა ჩვენთან.

ყველგან ვგრძნობდით მის ყურადღებასა და სითბოს: ლექციაზე, სამუშაო შეხვედრაზე, კონფერენციებზე.

ასეთი დარჩება ჩემს მეხსიერებაში: ბობოქარი, სიცოცხლით სავსე, მოწესრიგებული, მზრუნველი და დაუზარელი.

გემშვიდობებით მთელი უნივერსიტეტის სახელით, დოქტორანტთა და მაგისტრანტთა სახელით, მესხი ხალხის სახელით, ბატონო ტარიელ.

თქვენს სულს ულხინოს ზეციურ საქართველოში!

თეა თათენაშვილი, *დოქტორანტი:*

პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, უპირველესად, იყო ქართველი კაცის ეტალონი, იყო უაღრესად დიდი პატრიოტი, მებრძოლი სულის ადამიანი, ქართველოლოგიის დიდი გულშემატკივარი. ვერ წარმოვიდგენდი, რომ მას ვირუსი მოერეოდა. ძალიან მიჭირს მასზე მოგონებით საუბარი.

დოქტორანტურის პირველი კურსი... ყოველ შაბათს შემართებით მივრბოდით ბატონი ტარიელის ლექციებზე. მისგან ვგრძნობდით დიდ სიყვარულს, მოწიწებას. არ დამავიწყდება ბოლო ლექცია, როდესაც დიდი სიყვარულით დავემშვიდობეთ. „რა ხდება აქო? არაფერი, აქ გულია და სიყვარულიო.“ ჩემი ყველა თანაკურსელი მიხვდება და გაიხსენებს იმ დღეს და ბატონი ტარიელის ამ სიტყვებს. ამით არ დამთავრებულა ჩვენი ურთიერთობები. სადაც უნდა შევხვედროდით, განსაკუთრებული ყურადღებით გვათამამებდა. არ მეგონა, თუ ასე გამიჭირდებოდა დღეს ამ მოგონების დაწერა. საოცარია, თავისი სტუდენტებისგან ამდენი ტკბილი მოგონება, სიყვარულით სავსე სიტყვები... მის ფეისბუქ გვერდზე მადლიერი სტუდენტების ცრემლიანი სტატუსები...

მადლობა, ბატონო ტარიელ, ამ ლამაზი და ჯანსაღი მოგონებებისათვის. მეამაყება, რომ გიცნობდით, მეამაყება, რომ ვიყავი თქვენი სტუდენტი.

ირმა აბესაძე, *დოქტორანტი:*

ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის დღიდან ვიცნობდი, თუმცა, შორიდან. მისი პირადად გაცნობის პატივი დოქტორანტურაში სწავლის პერიოდს უკავშირდება, „ქართველოლოგიის შესავალს“ გვიკითხავდა. დღესაც თვალწინ მიდგას მისი პირველი ლექცია – საოცარი ენთუზიაზმი, მაღალი ერუდიცია, სამშობლოს გულანთებული სიყვარული... გულწრფელი, თბილი და კოლეგიალური ურთიერთობები ჰქონდა არამარტო ჩვენთან, დოქტორანტებთან, არამედ ყველა სტუდენტთან. მისი შემართება, მხნეობა და ოპტიმიზმი საოცრად გადამდები იყო, მასთან ყოველი შეხვედრისას ახალს სწავლობდი, გამხნევებდა და საკუთარი ძალების რწმენას გმატებდა...

ბატონო ტარიელ, ძალიან მწყდება გული... თქვენ დაიკლდით ყველას, თქვენს ოჯახს, ახლობლებს, სამეცნიერო და საუნივერსიტეტო საზოგადოებას და, მათ შორის – ჩვენც, თქვენ ყოფილ დოქტორანტებსა და მომავალ კოლეგებს.

ნათელი თქვენს ხსოვნას.

ჯულეტა ელბაქიანი, *მაგისტრანტი:*

ჩემო საყვარელო მკითხველო, თუ არ გიყვარს ემოციური წერილების წაკითხვა, მაშინ ნუღარ გააგრძელებ. ეს შენთვის დროის ფლანგვა იქნება, ბატონ ტარიელს კი ის არ ემეტებოდა ტყუილად დახარჯვისთვის.

ახლა შევუდგეთ ჩვენს მოკლე მოგონებას ამ დიად ადამიანზე. ტარიელ ფუტკარაძე – ადამიანი საოცრება, რომელმაც დაღლა არ იცის, რა არის. ნეტავ, ასეთი ღიმილიანი, ენერგიული და ხალისიანი კაცი რამ გაათეთრა ნაადრევად?! ძლივს იქნება 50 წლის. რა დარდი აქვს?! ეს აზრი დამებადა მასთან პირველი შეხვედრისას. არასტანდარტული ლექციები, პირველი შეხედვით უცნაური სემინარები და აი, უკვე რამდენიმე კვირაში (ჩვენ ორ კვირაში ერთხელ ვხვდებოდით) ხვდები, რა არის თეთრი თმებისა და მოჭმუხნული შუბლის მიზეზი, რაც დროდადრო ჩნდებოდა მის სახეზე, როდესაც საუბრობდა საქართველოზე, ქართულ ენაზე, მის წარსულსა თუ მომავალზე.

ალბათ, იკითხავთ, რაში გამოიხატებოდა არასტანდარტული ლექციები. პასუხი მარტივია: ის მარტო არ ლაპარაკობდა და არც ჩვენ ვისმენდით მეათე სიზმარში, არამედ პრობლემას დასვამდა და ერთობლივი ძალებით ვცდილობდით მის გადაჭრას. ხშირად ვკამათობდით სხვადასხვა საკითხზე, რაც ყველასთან არაა შესაძლებელი. იგი არასდროს მოგახვევდა თავს საკუთარ აზრს, თუმცა, არგუმენტების დამაჯერებლობით ჩვენ თვითონ მივდიოდით სასურველ შედეგამდე. შემდეგ კითხვები, კითხვები, კითხვები, რომლებითაც მეცნიერების ზღვაში გვასეირნებდა, მერე დაგვტოვებდა სადღაც და აბა, საკუთარი ძალებით უნდა გეცურავა და გამოსულიყავი, თუ არადა, არც დაგახრჩობდა, ისევ ცოტათი წაგეხმარებოდა და ზღვის სიღრმეში შეგახედებდა. და ეს ხდებოდა იმდენჯერ, სანამ ბოლომდე არ მიხვდებოდი, რას შეეჭიდე.

ბევრი რამაა გასახსენებელი, კონფერენციები, სხვადასხვა სახის ოფიციალური შეხვედრები. ის ყოველთვის მეგობრულად გვექცეოდა, რაც თავდაჯერებულობას გვმატებდა მე და ჩემს ამხანაგებს. ახლაც ვერ ვიჯერებ, იმ „ოფიციალურმა სტუმარმა“, რის შესახებაც ბატონმა ტარიელმა თავის ფეისბუქზე გააშუქა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთ კვირაში გაისტუმრებდა, ასე ულმობლად როგორ შეიწირა მისი სიცოცხლე...

როლანდ აბულაძე, *იდუმალის საჯარო სკოლის პედაგოგი*

ტარიელ ფუტკარაძეს

მძიმეა ჯვარი, რომელიც ზიდეთ,
თქვენი წასვლით კი უფრო დამძიმდა,
კაცის სიცოცხლე რომ გაიაფდა,
ცხოვრება ასე მიტომ გაძვირდა.
თვალებში მუდამ სინათლე გენთოთ,
მამულიშვილებს სცნობდით შორიდან,
ერთგული დარჩით ქვეყნის, მოყვასის,
ვერ უღალატეთ ვერც ერთს ორიდან.
ოჯახს დააკლდით, ვიცით და ვწუხვართ,
ჯერ ხომ წინ გქონდათ ბევრი მაისი,
თქვენ საქართველოს მოაკლდით
მთლიანს,
ვინ გააკეთოს საქმე ხვალისი?!
როდესაც ბნელში ქრება სანთელი,
მაშინ წყდიადი ირგვლივ მდუმარებს,
დღეს საქართველოს ვხედავთ
თავდახრილს,
დღეს საქართველოს ვხედავთ
მდუმარეს.

ინტერნაციონალიზაცია – საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული სტანდარტით

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებელისთვის, რომელსაც გააჩნია პრეტენზია, რომ დგას საერთაშორისო მიმართულებით მაღალ სტანდარტზე.

ჩვენს უნივერსიტეტში ინეტრნაციონალიზაცია მოიცავს სხვადახსვა მიმართულებას, როგორც ინსტიტუციურ განვითარებას, ასევე, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობას. ნებისმიერი პროექტი თუ გაცვლა რაიმე ახალი გამოცდილების, მნიშვნელოვანი გონებრივი თუ მატერიალური შესაძლებლობების ნიშანია.

გასულ წელს უნივერსიტეტს დაუფინანსდა Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების ოთხი პროექტი, თითოეული მათგანი თანაბრად მნიშვნელოვანია. ისინი ემსახურებიან უნივერსიტეტის, როგორც მომუშავე პერსონალის, ასევე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას. პროექტებში ჩართული ადამიანები ცდილობენ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას უნივერსიტეტში.

წელს მოვიპოვეთ მობილობის შესაძლებლობა ფინეთის ტამპარეს უნივერსიტეტთან, რომლითაც ისარგებლებენ ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დოქტორანტი სტუდენტები. პროფესორ-მასწავლებლებისთვის არის შესაძლებლობა, ისარგებლონ მოკლევადიანი გაცვლითი პროექტებით. მიმდინარე წლის მაისში განათლების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან განხორციელდება მობილობა რუმინეთში იასის უნივერსიტეტში. მიხარია, რომ Erasmus+-ის პროექტის დიდი შესაძლებლობებით სარგებლობა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორებს შეუძლიათ.

გურანდა მოდებაძე
საზღვარგარეთთან ურთიერთობის მიმართულების უფროსი სპეციალისტი

ბიბლიოთეკის გამოწვევები კოვიდ პანდემიისას

2020 წელს Covid 19-ის გამო, მთელს სამყაროში და, მათ შორის, საქართველოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაწესებული რეგულაციების გათვალისწინებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთო ონლაინ სწავლების რეჟიმში. იმისათვის, რომ სასწავლო პლატფორმა Moodle-სათვის შექმნილიყო საჭირო ელექტრონული სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამივე განყოფილების გაათმაგებული მუშაობის შედეგად (ხდებოდა მოთხოვნილი სახელმძღვანელოების დასკანერება თემატიკის მიხედვით), მოხერხდა საჭირო ელექტრონული რესურსებით უზრუნველყოფა სასწავლო პლატფორმა Moodle-სათვის. Moodle-ში აიტვირთა ახალი 2020 წლის ჯერ საგაზაფხულო და შემდეგ საშემოდგომო სემესტრის, განახლებული სილაბუსების მიხედვით, საჭირო ლიტერატურის ელექტრონული მასალა. ხოლო იმ რესურსისთვის, რომელიც ტევადობით იყო დიდი და ვერ ხერხდებოდა Moodle-ს პლატფორმაში ატვირთვა, სამეცნიერო ბიბლიოთეკამ შექმნა სპეციალური google. drive-ის ლინკები, სადაც დარგებისა და მიმართულებების მიხედვით განთავსდა ელექტრონული სახელმძღვანელოები. google, Drive-ის ლინკები დაეგზავნათ ლექტორებს, სასწავლო პლატფორმა Moodle-ს ადმინს, განთავსდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფეისბუქ გვერდზე (ჯგუფებშიც), ხოლო სამეცნიერო ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელი ონლაინ რეჟიმში უწყვეტად ანხორციელებდა სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნების შესრულებას.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ, რომლის წარმომადგენელიცაა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, შექმნა სპეციალური ონლაინ პლატფორმა წევრი ბიბლიოთეკებისათვის, სადაც ხდებოდა ელექტრონული წიგნადი ფონდების გაცვლა. ამ მძიმე ჟამს გაერთიანდა მთელი ქვეყნის საბიბლიოთეკო საზოგადოება, საუნივერსიტეტო და წამყვანი ბიბლიოთეკები, ერთმანეთის თანადგომით და საოცარი სულისკვეთებით ახერხებდნენ მომხმარებლისთვის ყველა საჭირო რესურსის მიწოდებას.

მიუხედავად ყველაფრისა, 2020 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ხელახალი და გეგმიური აკრედიტაციის მოსაპოვებლად რამდენიმე პროგრამა მოამზადა, როგორც საბაკალავრო, ასე სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურისთვის. ამ პროცესში, თვითშეფასების ჯგუფთან ერთად, აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო ბიბლიოთეკაც. პროგრამის ხელმძღვანელებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მომართვის საფუძველზე, გადამწმდა ყველა წარსადგენი პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილი სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის თავსებადობა საბიბლიოთეკო ფონდთან. შედგა იმ ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელთა განახლებისა და შეძენის საჭიროებაც გამოიკვეთა მონიტორინგის დროს. მოძიებულ იქნა საჭირო სახელმძღვანელოების მომწოდებლები, უნივერსიტეტის საფინანსო და შესყიდვების სამსახურთან ერთად, შეძენილი იქნა ყველა საჭირო განახლებული ლიტერატურა. სულ 2020 წელს ბიბლიოთეკამ შეიძინა 7473,36 ლარის წიგნები.

საოცარი თანაგრძნობა და ერთად დგომის უდიდესი შესაძლებლობა გამოვლინდა, როდესაც უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სამკითხველო დარბაზში გაჩნდა ხანძარი. ჩვენი თანამშრომელების, ადმინისტრაციის წარმომადგენლების მყისიერი რეაგირების, გმირობის ტოლფასი ქმედების შედეგად, ზარალი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე ერთი შეხედვით წარმოვიდგინეთ. მცირე დროში აღდგა მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობა. მართლაც, ძნელბედობის ჟამს შეიცნობა ყველაზე ძვირფასი რამ ადამიანებისთვის – თანადგომა და ერთგულება. მადლობა ყველას მხარში ასეთი დგომისთვის, უნივერსიტეტისა და აქ მოღვაწე ადამიანების დიდი სიყვარულისთვის.

ხათუნა კვინცხაძე
სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი

ეროვნული სახელმწიფო უნივერსიტეტი – ვეტერინარის 300 კრედიტიანი პროგრამით

ნომრის სტუმარია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო სავეტერინარო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან მაკარაძე.

– გამარჯობა, ბატონო ლევან. გთხოვთ, გაეცნოთ მკითხველს. გვესაუბრეთ თქვენს სამეცნიერო საქმიანობაზე.

– პირველ რიგში, მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ ვარ თქვენი რესპონდენტი. გახლავართ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო სავეტერინარო განათლების ასოციაციის პრეზიდენტი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დეკემბერში ამირჩიეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – ინჟინერიის, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანად.

ვეტერინარია-მეცხოველეობის მიმართულებით გამაჩნია მუშაობის 41 წლის სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება, რომელიც გამყარებულია ახალი მიღწევებით და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით უცხოეთის წამყვან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მივლინებით, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით.

ჩემი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საკმაოდ შთამბეჭდავია. ამჟამად, ვახორციელებ ორ საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის მიერ (დონორი სახელმწიფოები ამერიკა, იაპონია და ევროკავშირი) დაფინანსებულ მიმდინარე საერთაშორისო საგრანტო ორ პროექტს. ასევე, ვმონაწილეობ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ სამ სამეცნიერო საგრანტო პროექტში. გამოქვეყნებული მაქვს 142 სამეცნიერო ნაშრომი, საგანმანათლებლო პროგრამები და სახელმძღვანელოები (მათ შორის, თავისუფალი და აგრარული უნივერსიტეტის მიერ გამოცემული პირველი ქართული სახელმძღვანელო „ცხოველისა და ფრინველის დაავადებების პათოლოგიური ანატომიის ატლასი). ვარ ვეტერინარიის მიმართულებით საზღვარგარეთ გამოცემული ჟურნალების ექსპერტ-რეცენზენტი (თურქეთის ათათურქის უნივერსიტეტის „ვეტერინარული ჟურნალი“) და სარედაქციო კოლეგიის წევრი (კანადის სამეცნიერო ჟურნალ „ინოვაციები მედიცინასა და ბიოლოგიაში“).

ამჟამად ვმუშაობ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორად და ვეტერინარიის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად, პარალელურად, არჩეული ვარ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სავეტერინარო მედიცინის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომლად და ვახორციელებ აკადემიურ საქმიანობას ვეტერინარიის ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. 2018 წლიდან დღემდე ვარ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი. კონკურსის წესით, არჩეული ვარ სსიპ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ტრენერის პოზიციაზე სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სფეროში ვეტერინარია-მეცხოველეობის მიმართულებით. ჩემი აქტიური მონაწილეობით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ვეტერინარიის დარგობრივ საბჭოზე შემუშავდა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები ვეტერინარიაში, რომელიც არის ძირითადი სახელმძღვანელო-დოკუმენტი ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესადგენად. დაჯილდოებული ვარ ღირსების ორდენით.

– თქვენ ბრძანდებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ახლად არჩეული დეკანი. როგორია თქვენი ხედვა აღნიშნული ფაკულტეტის განვითარების საქმეში?

– მართალია, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტში ახლად არჩეული დეკანი ვარ, მაგრამ დეკანობა ჩემთვის უცხო არაა. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში 2005 წლიდან 2018 წლამდე ვხელმძღვანელობდი სავეტერინარო მედიცინის ფაკულტეტს დეკანის პოზიციაზე. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინჟინერიის, აგრარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობას, მიმაჩნია რომ იგი უნდა ეფუძნებოდეს ავტონომიურობის, აკადემიური თავისუფლების, სწავლების, სწავლისა და კვლევის ერთიანობის, თანასწორობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს, რომელიც ერთიანობაში უნივერსიტეტის განვითარების, მისი ავტორიტეტის, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების განხორციელებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებისაკენ უნდა იყოს მიმართული, რომელიც შეძლებს ინტეგრაციას საერთაშორისო სივრცეში და პიროვნულ თვითრეალიზებას. აღნიშნულის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება იმის გამოც, რომ ფაკულტეტი ახორციელებს ისეთ მნიშვნელოვან პროგრამებზე სწავლებას, როგორიცაა: ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა 5-წლიანი სწავლებით და სრულდება ვეტერინარიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით; აგრონომიის საგანმანათლებლო პროგრამა ბაკალავრიატის (საბაკალავრო), მაგისტრატურის (აგროტექნოლოგიების) და დოქტორანტურის (სადოქტორო) სწავლების საფეხურებით; ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; ინფორმაციული ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამა (საბაკალავრო), მაგისტრატურისა (ბიზნეს ინფორმატიკის) და დოქტორანტურის (ინფორმატიკის) სწავლების საფეხურებით; ასტრონომიის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები.

– ფაკულტეტი ახორციელებს პროფესიულ, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს. ხომ არ იგეგმება ფაკულტეტზე რაიმე ახალი პროგრამის შექმნა? არის სპეციალობები, რომლებიც მოითხოვს ლაბორატორიულ კვლევებს. ხომ არ იგეგმება ამ მიმართულებით სიახლე?

– მინდა გაუწყოთ, რომ ფაკულტეტმა წარმატებით უპასუხა დღევანდელობის გამოწვევებს. პირველ რიგში, აღვნიშნავდი ფაკულტეტზე მოქმედ უმაღლესი აკადემიური პროგრამების წარმატებულ აკრედიტაციას, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ ფაკულტეტი სწორი მიმართულებით ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლებას და პროგრამით დასახული სწავლის შედეგების მიღწევად იყენებს სწავლება-სწავლის თანამედროვე მეთოდებს. აღნიშნული ასევე მიანიშნებს პროგრამების მდგრადობას და მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივას.

სიახლეებთან დაკავშირებით ძალიან ბევრს ვფიქრობთ, ცხოვრება წინ მიდის, ახალი მიღწევები დღითიდღე მატულობს და სწავლების სპეციფიკა იცვლება, რაც არ გვაძლევს უფლებას, მოვდუნდეთ. ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის დანერგვა, რომელიც შესაბამისი ლაბორატორიის შექმნასაც ითვალისწინებს. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს სტუდენტებში სწავლების დაწყების პირველი ეტაპიდანვე სავეტერინარო-საექიმო ანუ კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას და ამ გზით შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით ვეტერინარ სტუდენტს თამამად შეუძლია შეაბიჯოს ვეტერინარული კლინიკური დისციპლინების სწავლებაში და რეალურ საექიმო პრაქტიკაში.

რაც შეეხება ახალი აკადემიური პროგრამების შექმნას, ეს არც ისე ადვილი განსახორციელებელია, თუმცა, ძალიან მონადინებული ვართ და შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი არსებობს ვეტერინარიაში სადოქტორო პროგრამის განსახორციელებლად, რაც ძალიან წაადგება უნივერსიტეტს. ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები.

– თქვენ ბრძანდებით ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. გვესაუბრეთ აღნიშნული პროგრამის პრიორიტეტებზე, ზოგადად, ვეტერინარიის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაზე.

– სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უნივერსიტეტის რექტორის, ქალბატონ მაკა ბერიძისა და პრორექტორის, ბატონ მერაბ ბერიძის დამსახურებაა, რომლებმაც პირველივე შეხვედრაზე მე და პროფესორი ნინო მილაშვილი დაგვარწმუნეს, რომ უნივერსიტეტს აქვს პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი პირობები და შესაძლებლობა. უნივერსიტეტში ადგილზე პირობებისა და ინფრასტრუქტურის გაცნობამ ჩვენზე დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონი არის მნიშვნელოვანი ზონა მეცხოველეობის. ვსარგებლობ შემთხვევით და ჩვენთვის ძალიან საპატივცემულო პიროვნებებს უნივერსიტეტის რექტორს და პრორექტორს მადლობა მინდა გადავუხადო ქვეყნისათვის ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისთვის.

ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს (ხელმძღვანელები, პროფესორები – ლევან მაკარაძე და ნინო მილაშვილი) კარგად ჰქონდა გათვითცნობიერებული ის რომ, საქართველოს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი ვეტერინარიის სფეროს მოწესრიგებისკენ, მისი ევროკავშირის კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაახლოებისა და თანამედროვე გამოწვევების ადეკვატური რეგულირების სისტემის შექმნისაკენ, წარმატებული რეფორმების განხორციელებისაკენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაგრძელება, მათი თანმიმდევრული განხორციელება და შეძლებისდაგვარად მეტი სახელმწიფო რესურსის მიმართვა ამ რეფორმების დაჩქარებისა და ეფექტიანობის გაზრდისთვის.

რაც შეეხება სახელმწიფო პოლიტიკას ვეტერინარიასთან მიმართებაში, მინდა გავიხსენო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელმაც სერიოზული გავლენა იქონია ვეტერინარი სპეციალისტების მომზადებაზე და ზოგადად ქვეყნისათვის ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული დარგის განვითარებაზე.

2011 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები, რითაც „სავეტერინარო მედიცინა“ ამოღებული იქნა რეგულირებადი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალიდან, იყო ვეტერინარული განათლების მხრივ 2000-იან წლებში კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი. კერძოდ, ვეტერინარი ექიმის კვალიფიკაციის მქონე პირს აღარ მოეთხოვებოდა სერტიფიკატი და არ ჰქონდა რეცეპტის გამოწერის უფლება. ხუთწლიანი სწავლება (300 კრედიტის მოცულობით) ოთხწლიანი (240 კრედიტის ფარგლებში) გახდა და არაადეკვატურად შემცირდა სპეციალობის სასწავლო კურსების რაოდენობა და მოცულობა. ფაქტობრივად, სათანადო კომპეტენციის მქონე ვეტერინარი ექიმის მომზადება საქართველოში არ ხდებოდა. საბედნიეროდ, ეს ხარვეზი 2017 წელს გამოსწორდა და ვეტერინარია კვლავ რეგულირებად პროფესიად გამოცხადდა. ვეტერინარისთვის რეგულირებადი პროფესიის სტატუსის დაბრუნება, ფაქტობრივად, ვეტერინარიის სფეროში მიმდინარე რეფორმების გაგრძელებას წარმოადგენდა. ეს იყო, ასევე, ვეტერინარიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო-საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ყოფილიყო მრავლისმომცველი და მისი შედგენისას გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ვეტერინარიის სფეროში ევროკავშირში მოქმედი წესები.

ვეტერინარიის მიმართულებით უცხოეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სწავლების შესაბამისი პროგრამების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოში განათლების სპეციფიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანი იყო, დეტალურად შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა ბელგიის გენტის უნივერსიტეტისა და ესტონეთის ტარტუს სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებათა უნივერსიტეტის ვეტერინარულ პროგრამაზე სწავლების სისტემები, მათი გამოცდილებისა და ჩვენი ქვეყნის სამხარეო პათოლოგიის გათვალისწინებით, შეგვემუშავებინა კურიკულუმი და ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

იმისათვის, რომ მაქსიმალურად დაგვეკმაყოფილებინა ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, პროგრამისა და კურიკულუმის შედგენისას სრულად გავითვალისწინეთ მნიშვნელოვანი დოკუმენტის – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვეტერინარიაში შემუშავებული დარგობრივი მახასიათებლების ფუნდამენტური მოთხოვნები.

სპეციალისტებისა და დამსაქმებლების სურვილების გათვალისწინებამ კიდევ უფრო მობილური და მიმზიდველი გახადა პროგრამის შინაარსობრივი მხარე და ხელი შეუწყო პროგრამის განვითარებას და მდგრადობას. აღნიშნულის დასტური იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დადებითი შეფასება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 13 დეკემბრის № გადაწყვეტილების შესაბამისად, ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭება. ეს იყო ისტორიული გადაწყვეტილება, რომელმაც შექმნა სამართლებრივი საფუძველი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, პირველად ქვეყნის ისტორიაში, სახელმწიფო უნივერსიტეტში, განხორციელებულიყო სწავლება აკრედიტებულ ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. აღნიშნული, ამავდროულად, იყო უნივერსიტეტის აღიარებისა და მისდამი ნდობის დასტური, ასევე, პასუხისმგებლობა ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკადრო პოლიტიკის – კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი ვეტერინარი სპეციალისტების მომზადების კუთხით. გვეამაყება, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ვართ ამ მნიშვნელოვანი ისტორიული გადაწყვეტილების ერთ-ერთი ნაწილი და აქტიური შემსრულებლები.

– მადლობა, ბატონო ლევან, საინტერესო საუბრისთვის.

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

„აუცილებელია, შვილებს ვასწავლოთ მადლიერება“

მე სტუდენტი ვიყავი, ის – დეკანი. ახალგაზრდა, მხიარული, გონიერი შემოგვეგება. უცხო გარემოში მოხვედრილ პირველკურსელს უპირობოდ გამიჩინა უნივერსიტეტის შეყვარების სურვილი. წლების შემდეგ კიდევ უფრო მეტად გავიაზრე, რომ ჩემი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება უნივერსიტეტისადმი, დიდწილად, მისი დამსახურებაა. თუმცა, ახლა ჩემზე არ ვსაუბრობთ, მაგრამ ასეთია, დადებით გავლენას ახდენს ადამიანებზე!

ამჯერად, ბლიცის შეკითხვებს სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრის სპეციალისტი და მოწვეული პედაგოგი მერი სახამბერიძე პასუხობს.

წაიკითხავთ და თავადაც მიხვდებით, რატომ არის გამორჩეული.

– ბავშვობა და ახდენილი ოცნებები...

– ბავშვობაში მუყაოს ქაღალდისგან ტელეფონის ყურმილს ვაკეთებდი, სამეცადინო მაგიდის მარჯვნივ მედო ხოლმე, შოკოლადის შესაფუთს კომპიუტერის კლავიატურად ვაქცევდი, ხოლო დექსტოპად საქართველოს რუკა მქონდა ჩემს მიერ დახატული. ზუსტად ასე მაქვს დღევანდელი ჩემი სამუშაო მაგიდა გადაწყობილი.

– პირველკურსელ მერის ვურჩევდი...

– ძალიან საინტერესო წლები გელოდება, მერი, წინ.

– მთავარი შეხვედრა...

– შეხვედრა ჩემს ნახევართან, შეხვედრა პირველ შვილთან, შეხვედრა მეორე შვილთან.

– სჯსუ...

– ადგილი, რომელიც მახარებს, მზრდის და არსად წასვლის სურვილს მიჩენს.

– ყველაზე დიდი მიღწევა...

– ვფიქრობ, ყველაზე დიდ მიღწევად რომ რამე ჩავთვალო, განვითარებას შევწყვეტ. ამიტომ, როდესაც რაიმეს მივაღწევ, უკან არ ვიხედები, წინ ვაგრძელებ სვლას.

– რომ არა ახლანდელი პროფესია, ვიქნებოდი...

– ვიქნებოდი ჟურნალისტი ან მწერალი.

– რჩევა სტუდენტს...

– ის, რაც ახლა და მუდმივად უნდა აკეთონ, ეს – სწავლაა.

– მოგზაურობა...

– სიამოვნებით წავიდოდი მალდივებზე. წარსული მოგზაურობებიდან ტკბილად გავიხსენებდი კიევს.

– აუცილებელია შვილებს ვასწავლოთ...

– მადლიერება.

– მეგობარია, ვინც...

– უღალატოა.

– არ მესმის იმ ხალხის...

– ვინც დროს ფუჭად კარგავს.

– ერთი დღით ვიქნებოდი...

– ისევ მერი. უფალმა ჩემი ჯვარით ჩემსავე ადგილას მომაბრძანა დედამიწაზე და სხვა ვერანაირად ვიქნები.

– მადლიერი ვარ...

– მშობლების.

– დედამიწელებს ვეტყოდი...

– გვიყვარდეს ერთმანეთი!

– წიგნი, რომელსაც გვირჩევთ...

– ნოდარ დუმბაძის „დედა“.

– შთამაგონებს...

– მეგობრები, ოჯახი.

– გრძნობა, რომელიც ვიქნებოდი...

– პასუხისმგებლობა.

– უფრო მეტი მიგიღია, თუ გაგიცია...

– ორივე თანაბრად. თუ გავეცი, ასე იყო საჭირო, თუ მივიღე, მადლიერებით ვივსები და კიდევ უფრო მეტს გავცემ.

– დაეთანხმე, ან უარყავი მოსაზრება: „წარმატების მიღწევა პიროვნული განვითარების გარეშეც შესაძლებელია“...

– მჯერა, რომ პიროვნული განვითარებაა სწორედ წინაპირობა, გყავდეს ასეთივე და, ძმა, მეგობრები, შვილები...

– საგანმანათლებლო სივრცეში სიახლის შეტანას ართულებს...

– „მე ეგ უკვე ვიცი“ დამოკიდებულება.

– შეკითხვა შემდეგ რესპოდენტს...

– ყავა თუ ჩაი?

ინტერვიუერი
ნანუკა მიქელაძე

მახარე ობოლაძე: ჩემთვის ტაძარი სულის ნავსაყუდელია

სტატიის დასაწყისში, სანამ ჩვენი გაზეთის რესპონდენტს გაგაცნობთ, მინდა ჯერ მისი ლექსები შემოგთავაზოთ.

მესხეთი

მშობლიური სახლები
და ცისფერი ფერები,
განთიადზე ნისლებით
დაენამა მთებს წვეთი.
ის ღვთიური მხარეა,
ცეკვა და სიმღერები.
ყველაფერზე ძვირფასი,
მოქარგული მესხეთი.
აქ ამაყად გაჰყურებს,
მთის მწვერვალებს საფარა,
წარსულიდან ღმერთამდე,
აღმართულა ხახული,
სილამაზემ მესხეთის
ყველაფერი დაფარა.
ისე მშვენიერია,
თვალით ჯერ არ ნახული.
რამდენ ტანჯვას გაუძლო...
რა გზა გამოიარა...
მაგრამ მაინც ამაყად,
ისევ აღმართულია.
ვინ დაითვლის,
რამდენი დასჩნევია იარა,
მესხეთი ხომ ქართული
სახელმწიფოს გულია.
ეს ლამაზი ხედები,
ეს ლამაზი ფერები,
ბავშობიდან ეს ტრფობა,
მათი გულში მე მენთო,
მუდამ ჟღერდეს, სამშობლოვ,
შენი ეს სიმღერები!
საქართველოს დიდება,
მოგვიყევი, მესხეთო!

* * *

ნისლი ედება სერებს
თოვლიანს,
და ტყეებისკენ მიიწევს ქარი.
შენი თვალები ჩემთან
მოდიან,
როგორც წარსულის უცხო
სიზმარი.
ცისფერ ოცნებას ხატავს
ღრუბელი
და ეს საღამო უფრო
მშვიდდება.
გამოდარებას ცისას ნუ ელი,
ეს გული ისევ ნუ აგტკივდება.
შემოსილია გზები ვარდებით,
ქუჩებს მოაპობს შენი სახება.
მწუხარებაში ნუ ჩავარდები,
და ნუ შეგიპყრობს
აცახცახება.
გამოიდარებს, მოვა აპრილი
და ალუბალი მზის სხივს
უძღვნის თავს...
ეს თოვლიც წავა გზებზე
დაყრილი
და ჩემი სულიც შენს სულს
იხილავს.

მახარე ობოლაძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების II კურსის სტუდენტია. პირველი ლექსი აგვისტოს ომზე დაწერა. მას შემდეგ იგრძნო, რომ პოეზია მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა და ემოციებს, განცდებს, სათქმელს ყველაზე მეტად მის ლექსებში ამოიკითხავთ. ამასთან, იგი 12 წელია, ქვემო ენთელის წმინდა ნინოს სახელობის ტაძარში სტიქაროსანია. პირველად, როდესაც ეკლესიაში მივიდა, 7 წლის იყო და მართლმადიდებელი ქრისტიანობა მთელი გულით შეიყვარა.

– ჩემთვის ტაძარი სულის ნავსაყუდელია, სადაც სიმშვიდეს ყველაზე მეტად ვგრძნობ. უფალი ჩემთვის ყველაზე მთავარია, ვერაფერს დავაყენებ მასზე წინ... – გვითხრა საუბრისას მახარემ.

– პირველი ლექსი აგვისტოს ომის დროს დავწერე. რას განვიცდიდი იმ დროს? მახსოვს, მთელი ღამე ვფიქრობდი და... ლექსში ამ ომზე გადმოვეცი ჩემი სათქმელი, განცდები... შემდეგ დავფიქრდი, რომ ლექსს, თავისთავად, ემოციები, ფიქრები და გარემო გაწერინებს.

– რას ნიშნავს შენთვის უნივერსიტეტი? რატომ აირჩიე დაწყებითი განათლება?

– ჩემთვის უნივერსიტეტი არამარტო ცოდნის მიღების საშუალებაა, არამედ ესაა გარემო, სადაც თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. მთავარი სწორედ ისაა, რასაც აკეთებ, გულით აკეთებდე. რა თქმა უნდა, როდესაც პირველად უნივერსიტეტში მივედი, დაბნეული ვიყავი და ვნერვიულობდი, ალბათ, როგორც ყველა პირველკურსელი, თუმცა, იმ მეგობრულმა გარემომ, რაც დამხვდა, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის თბილმა დამოკიდებულებამ გამიადვილა სწავლის პროცესი და ადაპტაცია.

არ მომერიდება ხმამაღლა იმის თქმა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნამდვილად ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია მთელს საქართველოში, როგორც ცოდნის მიღების თვალსაზრისით, ასევე, იმ მეგობრული გარემოთი, რაც ჩვენთანაა.

ცოდნის მიღება ჩემთვის უმთავრესია და ძალიან მიხარია, რომ ასე გამიმართლა და სწორედ იმ უნივერსიტეტში მოვხვდი, რომელიც ცოდნასთან ერთად ცხოვრებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს მაძლევს. მადლობა უნივერსიტეტს, ასე რომ ზრუნავს ახალგაზრდობის განვითარებისათვის.

რაც შეეხება ჩემს არჩევანს, დაწყებითი განათლება, პირველ რიგში, იმიტომ ავირჩიე, რომ ასეთი შანსი, როგორც ამ პროგრამაზეა, არსად არაა. სრულიად უფასოდ ხდები მაგისტრი და, ამავდროულად – უფროსი მასწავლებელი.

ძალიან მიყვარს ბავშვები, ადვილად ვახერხებ მათთან ურთიერთობას. გეთანხმებით, რომ ამ სფეროში მამაკაცი პედაგოგების სიმცირეა. დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩემი ცოდნა და ენერგია მომავალი თაობის აღზრდას მოვახმარო. ამავე დროს, მე გავიზარდე ოჯახში, სადაც ბებია იყო ღვაწლმოსილი პედაგოგი. მრავალი წელი ასწავლიდა დაწყებით კლასებში და მახსოვს, ბავშვობაში როგორ მასწავლიდა კითხვას და რამდენ საინტერესო ამბავს მიკითხავდა წიგნებიდან. სწორედ, აქედან წამოვიდა ლიტერატურის მიმართ ჩემი ინტერესი, რომელიც შემდეგ უფრო გაღრმავდა. დღესდღეისობით ვწერ ლექსებს და, ასევე, მხატვრულ ჩანახატებს.

მსურს, ჩემი ცოდნა და შესაძლებლობები მთლიანად მომავალი თაობის აღზრდას მოვახმარო. სწავლის გაგრძელებას კი დოქტორანტურაში ვფიქრობ. ვნახოთ, სხვას დანარჩენს კიდევ მომავალი გვიჩვენებს.

* * *

მახარე ობოლაძე ჩემი კურსელია. არ შემიძლია, არ აღვნიშნო მისი პიროვნების უდიდესი პასუხისმგებლობა და სიყვარული სწავლისადმი, მაქსიმალურად მობილიზებული და მოტივირებულია. გამოირჩევა სტუდენტების მიმართ გვერდით დგომით. სხვაგვარად ვერც იქნება, როდესაც ადამიანში სიკეთის კეთება ბედნიერებასთან ასოცირდება. ხშირად ამბობს, რომ გრძნობს, უფალი ყოველთვის მის გვერდითაა. მისი სახელის ისტორიაც ხომ განსხვავებულია: სანამ დავიბადებოდი, ბიძას დაესიზმრა თეთრი სამოსით მოსილი კაცი და მისთვის უთქვამს, ბიჭი დაიბადება და აუცილებლად მახარე დაარქვითო. ასე დავიბადე და დამარქვეს მახარე.

და მართლაც, სამცხე-ჯავახეთს ჰყავს ღირსეული ახალგაზრდა, რომელიც სიხარულისკენ და უკეთესობისკენ შეცვლის ჩვენი მხარის განვითარებას. მომავალ თაობას კი იმ სულისკვეთებით აღზრდის, როგორიც თვითონაა – გულკეთილი და ყველასთვის კეთილისმსურველი. წარმატებები მინდა ვუსურვო მას ამ დიდ და მეტად საპასუხისმგებლო საქმეში.

იზა იანვარაშვილი
დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი

„მშვიდობით არა, ნახვამდის, ბატონო არტურ!"

თემურ მაღრაძე, *კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი:*

საყვარელი ადამიანის დაკარგვა ძალიან მწარეა, რთულია საკუთარ თავში იპოვო ძალა, წარსულში ისაუბრო ერთგულ მეგობარზე, თანამშრომელზე არტურ დავლაშერიძეზე. იგი იყო მუდამ თავაზიანი, პირდაპირი, გვერდით მდგომი და, უპირველესად, პროფესიონალი მუსიკოსი, თავისი საქმისადმ თავდადებული.

წლები გავატარეთ ერთად, იყო სირთულეები მუშაობაში, მაგრამ უკან არასოდეს დაუხევია. წარმატებით უძღვებოდა მუსიკალურ-შემოქმედებით საქმიანობას უნივერსიტეტში და, ასევე, აქტიურად მონაწილეობდა რეგიონის მასშტაბით ჩატარებულ მხატვრულ შემოქმედებით ღონისძიებებში. არტურს მუსიკალურად აქვს გაფორმებული მესხეთის სახელმწიფო თეატრში სპექტაკლები, იგი დახმარებას უწევდა ფოლკლორულ ანსამბლებს მუსიკალურ არანჟირებაში.

განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა, მის საქმიანობაში, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით, მის მიერ ჩამოყალიბებული ხმისჩამწერი სტუდია. შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი სტუდია რეგიონში არ არსებობს. იგი აქტიურად ემსახურებოდა მომავალი თაობის აღზრდას; მისი სტუდია სტუდენტთა თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო. აქ სტუდენტი პოეტების ლექსებზე არაერთხელ დაუწერია მუსიკა და გაუკეთებია არანჟირება, მისი ხელმძღვანელობით სტუდენტებს არაერთ მუსიკალურ ფესტივალსა და შემოქმედებით ღონისძიებაში



წარმატებულად მიუღიათ მონაწილეობა.

რა დასანანია... რამდენი წამოწყებული საქმე, უამრავი ჩანაფიქრი დარჩა განუხორციელებელი. მის გარეშე ამ ყველაფრის გაკეთება გაგვიჭირდება, მაგრამ რჩება ნუგეში იმისა, რომ უნივერსიტეტის ხმისჩამწერი სტუდია კვლავაც წარმატებით გააგრძელებს ფუნქციონირებას, ჩვენ კი მიუხედავად იმისა, რომ ის ჩვენთან აღარ იქნება, მისი ღიმილი და მასზე საუკეთესო მოგონებები ყოველთვის ჩვენთან დარჩება.

თეო თაბუნიძე, *სჯსუნის კურსდამთავრებული:*

ისევ – „სალამი, ბატონო არტურ!" ახლა უკვე თქვენთვის შორს, თუმცა, ამავდროულად ყველზე ახლო მანძილიდან გწერთ. ახლა, როდესაც ჩვენი გზები გაიყო, ყველაფერი წარსულს შემორჩა, გაუფერულდა, თითქოს ფრთა მოსტეხა, გამოაცალა და უსაყრდენოდ დატოვა უნივერიტეტის კედლები სიკვდილმა...

მწარე რეალობასთან ერთად მოუწია დილის გათენება დიდ დერეფანს, მრგვალ და მოხვეულ კიბეებს, კარს, რომელსაც დიდი ასოებით თქვენი სახელი და გვარი ამშვენებს.. ყველაფერი, ყველაფერი სხვანაირად იქნება დღეიდან... ნუთუ ასეთი ადვილია, მუსიკის ჰანგების გარეშე დაიწყო სწავლა?! ჩემთვის მთავარი სტიმული იყავით, სულ სხვანაირად რომ გავატარე სტუდენტობის 4 წელი, სულ სხვანაირად რომ ვისწავლე...

თქვენ მხოლოდ ხელმძღვანელი არ იყავით. თქვენ იყავით კარგი, გულწრფელი და გულახდილი ადამიანი და მეგობარი... თქვენნაირი ადამიანები არ კვდებიან! ისინი მუდამ, უსასრულოდ ცოცხლობენ. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ცხოვრებაში დღეს არ ტოვებენ, სითბო, სიყვარული და უამრავი ცოდნა რომ არ გასცენ...

მშვიდობით არა, ნახვამდის, ბატონო არტურ!

თეონა იველაშვილი, *სჯსუნის კურსდამთავრებული:*

სტუდენტობის წლების გახსენებისას, პირველი, რაც გონებაში გაიელვებს, არის „ხმის ჩამწერი სტუდია". ამ სამი სიტყვის მიღმა, დიდი უნივერსიტეტის კედლებში, ჩვენ ჩვენი პატარა სამყარო გვქონდა შექმნილი. ამ სამყაროში შესვლისას უკვე აღარ ვიყავით „ჩვეულებრივი სტუდენტები", ჩვენ განსაკუთრებული „მისია" გვქონდა – დღეასასწაულად გვექცია სტუდენტური დღეები ყველასთვის და ამას დიდი სიამოვნებით ვაკეთებდით, რადგან ჩვენ პატარა ოჯახი ვიყავით მელოდიებთან, აკორდებთან და ნოტებთან ერთად, რომელსაც ერთად ვქმნიდით და ვუფრთხილდებოდით უფროს-უმცროსობის გარეშე, მხოლოდ მეგობრობით, სითბოთი და ერთგულებით იყო ყველაფერი სავსე.

თქვენმა სტუდიამ დაგვაკავშირა სხვადასხვა სპეციალობის, ეროვნების, რეგიონის ახალგაზრდები, რომლებიც დღემდე ვაგრძელებთ მეგობრობას, რომელიც თქვენთან იშვა...

სტუდენტობის შემდგომაც, ჩვენი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან წუთებს, ქორწილის დღეს, თქვენთან ერთად შექმნილი, თქვენს სტუდიაში ჩაწერილი სიმღერები გვილამაზებდა.

ჩვენს გულებში მუდამ იქნებით ის ღიმილიანი და უშუალო ბატონი არტური, რომელიც მეგობრობასაც გვიწევდა, უფროს-უმცროსობასაც გვასწავლიდა და მუსიკას გვიხატავდა უამრავ ლამაზ ფერად.

მუდმივად საკუთარი თავის ძიებაში

გაგაცნობთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საჯარო მმართველობის მესამე კურსის სტუდენტს ნინო ნადირაძეს.

ნინო უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტია. სამი წლის განმალობაში ის სახელმწიფო სტიპენდიას ფლობს. ამასთან, მისი ინტერესის სფერო მუსიკას უკავშირდება. პარალელურად, რეპეტიტორია – სკოლის მოსწავლეებს ეხმარება, გაიღრმაონ ცოდნა. ამბობს, რომ ყველაზე გულწრფელი, სწორედ, ბავშვებთან უნდა იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათთან ურთიერთობა არ გამოვა. ის, რომ ნინო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია, დიდი წვლილი მის დას, ნათიას მიუძღვის. ნათია გახლდათ ერთ -ერთი იმ სტუდენტთაგანი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის სტიპენდიის მფლობლი იყო და ბევრ სხვა პროექტში – წარმატებული სტუდენტი. მისი დის მაგალითით დაინახა, რომ უნივერსიტეტს შეუძლია სტუდენტის შესაძლებლობებს ფართო გზა მისცეს. თავადაც აქვს სამომავლო მიზნები და გეგმები და იმედოვნებს, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის ხელს შეუწყობს სტუდენტთა ნიჭის გამოვლენას.

– ***ნინო, მკითხველს თქვენს თავს სკოლის პერიოდიდან გავაცნობთ. როგორი მოსწავლე იყავით?***

– დამეთანხმებით, ყველა ადამიანი თავის მომავალს პროფესიას უკავშირებს. ადრეული ასაკიდანვე, ჩემი მთავარი მიზანი იყო, ჩემ მიერ მიღებული ცოდნა დამხმარებოდა არა მარტო მე, არამედ ჩემს გარშემო მყოფებსაც. ამიტომ, დიდი წვლილი მიუძღვის იმ პერიოდს, რომელიც სკოლაში გავატარე. ამ წლებმა ძალიან ბევრი რამ მასწავლა და გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. დავამთავრე წარჩინებით დაბა ასპინძის №1 საჯარო სკოლა. მოვიპოვე მედალი და ვთვლი, რომ საკუთარ თავს გავუმართლე იმედები. სკოლამ მომცა ის უნარ-ჩვევები და განმივითარა ის პიროვნული მახასიათებლები, რომლებიც დღესდღეობით აქტიურად მეხმარება სოციალურ ცხოვრებაში. პირველ რიგში, ყველა ჩვენგანის მთავარი მიზანი უნდა იყო ის, რომ საკუთარ შესაძლებლობებს მივცეთ ფართო გზა, რათა მეტად რეალიზებულები გავხდეთ ცხოვრებაში.

– ***რატომ აირჩიეთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი? რომელი მიმართულებით ხედავთ თქვენს თავს მომავალში – გამომძიებელი, ადვოკატი...***

– დიდი დრო დამჭირდა იმაზე ფიქრისთვის, თუ სად ვხედავდი მომავალში ჩემს თავს. მქონდა რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი. ვერ ვიტყვი, რომ გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მივიღე. ჩემი სურვილები მუდმივად სხვადასხვა მიმართულებით იშლებოდა, მაგრამ საბოლოოდ ავირჩიე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა. ვთვლი, რომ ჩემნაირი ადამიანებისთვის, მათთვის, ვისაც უყვართ საჯარო სივრეცში ყოფნა, კომუნიკაცია ფართო აუდიტორიასთან, აქვთ მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა და ისწრაფვიან ეთიკური ნორმებისა და ღირებულებების დასამკვიდრებლად, საუკეთესო ვარიანტია, ისწავლონ საჯარო მმართველობაზე. ვაპირებ, ჩემი პროფესიით მაგისტრატურის დამთავრებას. ჩემს თავს ვხედავ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხების მიმართულებით.

ჩემმა დამ დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ დღეს მე სჯსუნ-ის სტუდენტი ვარ. ჩვენს უნივერსიტეტს შეუძლია საშუალება მისცეს სტუდენტს, თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს საქმეში. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონისთვის დიდი ძალაა. უნივერსიტეტში არის უამრავი პროგრამა სახელმწიფო დაფინანსებით, ამასთან, უნივერსიტეტი სტუდენტს სთავაზობს სწავლის გადასახადის მათზე მორგებულ გრაფიკს, რასაც ყველა უნივერსიტეტი ნამდვილად არ აკეთებს.

– ***გარდა წარმატებული სტუდენტის სტატუსისა, დაინტერესებული ხართ მუსიკით. ხედავთ თუ არა მომავალში ამ სფეროში თქვენს თავს? უნივერსიტეტში თუ გიცდიათ ამ მიმართულებით თავის წარმოჩენა?***

– დიახ, მუსიკით ვარ დაინტერესებული. მიყვარს სიმღერა, სხვადასხვა საკრავზე დაკვრა და ეს არის ჩემი განტვირთვის საუკეთესო გზა. უნივერსიტეტში ჩაბარებისთანავე ყველამ, ვინც კი მიცნობდა და იცოდა ჩემი „ჰობის" შესახებ, მიმითითა უნივერსიტეტის ხმის ჩამწერ სტუდიაზე. თავდაპირველად, ცოტა მრცხვენოდა, არ ვთვლიდი, რომ რაიმე განსაკუთრებული ნიჭი მქონდა, მაგრამ მაინც გადავდგი ეს ნაბიჯი... შემდგომ კი პანდემიამ დამხია უკან. ყველას ვურჩევ, იმ ადამიანებს, ვისაც ოდნავ მაინც სურთ თავიანთ ოცნებებს მიუახლოვდნენ, არ მოუსმინონ საკუთარი თავის კრიტიკას, მოუსმინონ იმ ადამიანებს, რომლებიც უბიძგებენ საკუთარი შესაძლებლობების გამოხატვაში. როგორც კი უნივერსიტეტში მივალ და შესაძლებლობა მექნება, კიდევ ერთხელ ვეწვევი ჩვენს ხმის ჩამწერ სტუდიას. რაც შეეხება მომავალს, უფრო მეტად ჩემი პროფესიის განვითარებას ვეცდები და, რა თქმა უნდა, არც ამ შესაძლებლობას უარვყოფ.

– ***როგორია პანდემიის პერიოდში თქვენი სწავლის პროცესი? რა იყო ხელისშემშლელი ფაქტორები ან პირიქით, რა იყო ახალი, რამაც ხელი შეგიწყოთ განვითარებაში?***

– პირადად ჩემთვის პანდემიის პერიოდი ხელისშემშლელი იყო იმ მხრივ, რომ დამაკლდა ადამიანური ურთიერთობები. ურთიერთობები სტუდენტებს შორის, სტუდენტებსა და ლექტორებს შორის. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, სწავლის მხრივ, დისკომფორტი ნამდვილად არ შემქმნია. მთავარია, გაუწიო თავს მობილიზება და კეთილსინდისიერად შეასრულო ის, რაც გევალება. ყველა ლექციასა და სემინარს უპრობლემოდ ვესწრებოდი, ეს იმიტომ, რომ არ მქონია ინტერნეტსა და ტექნიკასთან წვდომის პრობლემა, თუმცა, ვისაც მსგავსი პრობლემა ჰქონდა, ბევრ მათგანზე უნივერსიტეტმა იზრუნა.

– ***ხართ რეპეტიტორი. ამეცადინებთ მოსწავლეებს. გვესაუბრეთ ამის შესახებ. რას ნიშნავს თქვენთის ბავშვებთან ურთიერთობა?***

– ბავშვებთან ურთიერთობა დიდ მოთმინებას, დაკვირვებას და მზრუნველობას მოითხოვს. ის, რომ შენი ცოდნით შეგიძლია სხვასაც დაეხმარო და გზა გაუკვალო, ძალიან კარგი შეგრძნებაა. ბავშვები ჩემთვის ნამდვილად ანტიდეპრესანტები არიან, რომლებთან ურთიერთობისას გჭირდება, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელი დამოკიდებულება და მათი ნდობის მოპოვება. ეს რომ ცოტა ადრე აღმომეჩინა, შესაძლოა, დიდი გავლენა მოეხდინა ჩემს მიერ პროფესიის არჩევაზე, მაგრამ ცხოვრებაში არაფერია გვიან. მუდივად საკუთარი თავის ძიებაში უნდა იყო, ეძებო ახალი შესაძლებლობები, ახალი გამოწვევები, რათა დარწმუნდე რეალურად, სად არის შენი ადგილი. ერთი მეორეს ხელს ნამდვილად არ უშლის.

– ***მადლობა, ნინო, საინტერესო საუბრისთვის. წარმატებას გისურვებთ.***

ინტერვიუერი
ლიკა ზაზაშვილი

აიპ – „ნამიჯი წარმატებისკენ“

დონარი ლონდარიძე ამჟამად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტია. მისი წარმატებული სტუდენტური ცხოვრების შესახებ მთელმა რეგიონმა იცის. გასაკვირი არაა, რომ ბავშვობიდანვე აინტერესებს ის დარგი, რომელშიც ახლა ძალიან წარმატებულია - იურისპრუდენცია. უყვარს სიახლეები და გამოირჩევა მრავალფეროვანი ინტერესის სფეროებით. დაკავებულია მოხალისეობრივი საქმიანობით, რომელსაც მისთვის დიდი გამოცდილება მოაქვს. „მივაღწიე მიზანს, მაგრამ ჯერ ყველაფერი წინ მაქვს“ - ამბობს დონარი. დღეს სწორედ მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ.

– დონარი, რას ნიშნავს თქვენთვის წარმატება? როგორი უნდა იყოს წარმატებული ადამიანი?

– წარმატება ის მომენტია, როდესაც ხვდები, რომ შრომა გიფასდება. ჩემს გარშემო ძალიან ბევრი წარმატებული ადამიანია და ვფიქრობ,სწორედ ისინი არიან მოტივაცია სხვებისთვის, რომ მიაღწიონ დასახულ მიზნებს და გახდნენ წარმატებულები. წარმატებული ადამიანი არის პიროვნება, რომელსაც უყვარს ის, რასაც აკეთებს, იცის, რისთვისაც აკეთებს და სწორედ ამ შედეგისთვის იბრძვის.

– როდის და რატომ გადაწყვიტეთ მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებულიყავით? თქვენი ცხოვრების რა ნაწილს იკავებს ის დღეს?

– დაახლოებით, 14 წლიდან დავიწყე მოხალისეობრივი საქმიანობა, რისი მიზანიც გამოცდილების მიღება და უკვე არსებულის სხვებისთვის გაზიარება იყო. შეიძლება ითქვას, დღემდე აქტიურად ვარ ჩართული და მინდა ამ საქმიანობით უფრო მეტი ადამიანი დაინტერესდეს. მე, პირადად, მოხალისეობა მაძლევს საშუალებას, შევიძინო ახალი მეგობრები, მივიღო ცოდნა და გავუზიარო სხვებს.

– რა დაბრკოლებები შეგხვედრიათ, რომლებიც წარმატებით გადალახეთ?

– ვფიქრობ, ამ კითხვის პასუხი კომფორტის ზონაა, რომლის დაძლევაც ადამიანების გარკვეულ ნაწილს უჭირს. ჩემს შემთხვევაში კარგი ის იყო, რომ რასაც ვაკეთებდი (ვსწავლობდი, აქტივობებში ვერთვებოდი და სხვა), მომწონდა და მაინტერესებდა. შესაბამისად, ვცდილობდი, შემართებით ვყოფილიყავი ამ პროცესში ჩართული.

– დონარი, მოგვიყევით თქვენი მიღწევების შესახებ.

– მიუხედავად იმისა, რომ ვსწავლობ სამართლის ფაკულტეტზე, ვმონაწილეობ აქტივობებში, რომელიც სხვადასხვა სფეროს ეხება.

2018 წლიდან სისტემატურად ვმონაწილეობ დებატების ტურნირებში და, რეგიონის შემდეგ, ქვეყნის მასშტაბით წარმოვადგენ უნივერსიტეტს.

გარდა ამისა, მონაწილეობა მაქვს მიღებული ათობით შიდასაუნივერსიტეტო და საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. აქტიურად ვესწრები ტრენინგებს, რომელთა თემატიკაც, ძირითადად, ადამიანის უფლებებს და სამოქალაქო აქტივიზმს ეხება.

გარდა უნივერსიტეტისა, ვსწავლობ სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯში „ოპიზარი” და, დღეის მდგომარეობით, ვეუფლები მესამე პროფესიას.

2020 წელს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მომენიჭა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ელჩის” ერთწლიანი მანდატი. პირველი კურსიდან მაქვს მერიისა და სახელმწიფო სტიპენდია.

– სად ხედავთ თქვენს თავს 5 წელიწადში?

– ვფიქრობ, ამ დროის განმავლობაში ვიმუშავებ ჩემი პროფესიით და შევიტანწვლილს იმ მნიშვნელოვან საქმეში, რომელსაც ადამიანის უფლებათა დაცვა ჰქვია.

– რა რჩევას მისცემდი ახალგაზრდებს? თავად რა რჩევა დაგეხმარა პიროვნულ წინსვლასა და განვითარებაში?

– ახალგაზრდები ყველაზე დიდი ძალაა. დღესდღეობით ძალიან ბევრი შესაძლებლობა გვაქვს და გირჩევთ, მოიძიოთ და გამოიყენოთ. რაც მთავარია, ვიფიქროთ შედეგზე, თუ რას გვინდა, რომ მივაღწიოთ; ვიმუშაოთ ამისთვის და წარმატებაც აღარ დააყოვნებს.

მე, პირადად, განვითარებაში დამეხმარა მოტივაცია, რომელსაც ჩემს გარშემო მყოფი ადამიანები ყოველდღიურად მაძლევდნენ.

– უფრო მეტი დრო რომ გქონდეს, რას მოიმოქმედებდი?

– შევეცდებოდი, დამეგეგმა ღონისძიებები, რომლის მიზანიც თანატოლთა განათლება და მათი მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვა იქნებოდა.

– შენი აზრით, რა აკლია ქართულ საზოგადოებას?

– დღეის მდგომარეობით, ქართული საზოგადოება ცდილობს, მიყვეს ცვლილებებს, რომელიც მათი პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვისაა. შესაბამისად, რაიმე კონკრეტული არ მახსენდება.

ინტერვიუერი ჟურნალისტი თამარ ლევიშვილი

სტუდენტის სვეტი

დღევანდელი სივრცითი და ონლაინ რეალობა

უხეშ შედარებას მოვიყვან, მაგრამ როგორც მანქანას სჭირდება მოძრაობისთვის საწვავი, ასევე ადამიანის სიცოცხლისთვის აუცილებელია საკვები. ის სულ სხვა თემაა, თუ რა ხარისხს და როგორ პროდუქტებს მივირთვევთ და რა დღეში იქნება მალე ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, თუ მართლაც არ გაძლიერდა სოფლის მეურნეობა და დედაქალაქში გახიზნული მოქალაქეები უკან არ დაუბრუნდნენ მშობლიურ სოფელს.

სოფელში ცხოვრობენ ჩემი ახლობელ-ნაცნობები, თუმცა, მთელი წლის მანძილზე მოწეული მოსავალი არსებობისთვის საკმარისი რესურსი არ არის, როგორც 200 ლარიანი დახმარება უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეებისთვის იმ ფონზე, როდესაც ელემენტარულად ზეთის ფასი 3 ლარიდანი 6. 50 ლარამდე გაიზარდა. პროდუქტების გაძვირება ჩვენს ყოველდღიურობად იქცა. როგორ უნდა იარსებოს პენსიონერმა, 200 ლარიანი დახმარების იმედად დარჩენილმა დროებით დასაქმებულმა, დამლაგებელმა, დამხმარე მუშამ და ასე შემდეგ?! თორემ ბიზნესის წარმომადგენლებს ბანკებმა ისევ გადაუვადეს სესხები და მცირედ, მაგრამ მათ შვება მაინც იგრძნეს. ტურიზმზე აშენებული კოშკები ხომ საერთოდ მიწასთან გასწორდა და მხოლოდ შიდა ტურიზმის იმედად დავრჩით.

მოკლედ, ეკონომიური სიდუხჭირით ცხოვრება კიდევ რამდენი ხანი გაგრძელდება, ვარაუდიც ძალიან რთულია. რეგულაციებმა კი საოჯახო ტიპის სასტუმროთა უმრავლესობა შეაჩერა და სადღაც შორეული მომავლის იმედად დატოვა. დასვენებით და შიდა ტურიზმით რომ ძალიან დაბალი პროცენტი სარგებლობს, არცაა გასაკვირი ჯერ პანდემიის და მეორეც – თანდართული მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო.

მოკლედ, საიდან დავიწყე და სად წავედი? მაგრამ ისევ მინდა დავუბრუნდე მეტისმეტად გაძვირებულ პროდუქტებს და მომხმარებლებს, რომლებიც მუდმივად სტრესში არიან. მაღაზიაში ფასების სიძვირე იმდენად დიდია, რომ ხშირად მათ შემოსავალს ბევრად აღემატება. ერთ-ერთმა მომხმარებელმა გვითხრა – „ონლაინ კვება“ რომ არსებობდეს, კარგი იქნებოდა და პროდუქტების შეძენა არ დაგვჭირდებაო. იქნებ შეგვეძლოს და ონლაინ კვებაც მოხერხდესო. ასე ვეღარაფერს ვწვდებით და ძალიან რთულია, ყოველდღე როგორ გავუძღვეთ ოჯახს და რა გავაკეთოთ, აღარ ვიცით. სოფლო პროდუქტებიც მოგვყავს, მაგრამ ეს საკმარისი ნამდვილად არაა არსებობისთვის.

ჩვენი რეალობა კი დღითიდღე ონლაინ სივრცეში გადავიდა, ონლაინ პროდუქტებიც სასურველი ხდება; ეს ცხოვრება კი არა, ცხოვრებიდან გაქრობის სურვილს ნიშნავს. მართლაც, ისე გაძვირდა პროდუქტები, ონლაინ კვება რომ არსებობდეს, ალბათ, საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა; მაგრამ, რადგან ეს გამოსავალი არ არის, საზოგადოების ნაწილი სვამს კითხვებს და სოციალურ ქსელში უამრავ პასუხსაც იღებენ ე.წ. კომენტარების სახით: ხალხო, ასე გაძვირებულ ზეთს როგორ ყიდულობთ ან რა ალტერნატივას ხედავთ?

რჩევა №1 ასეთი იყო: ზეთი ჯანმრთელობისთვის საზიანოა, სწორედ ამიტომ მოხარშულები, ან ღუმელში გამომცხვარი მიირთვითო.

რჩევა №2 – გადადით კარაქსა და ერბოზე.

რჩევა № 3 – მიხედეთ სოფლის მეურნეობას.

მოკლედ ასე, ალტერნატივაც მოიძებნა და უფრო ჯანმრთელი ცხოვრების წესსაც შეიძლება მიაგნო ადამიანმა. ესე იგი, იუმორში, ცინიზმშიც შეგვიძლია ვიპოვოთ ჭეშმარიტება, ეკონომიკურ სიდუხჭირეშიც – მოძრაობა, რადგან თუ არ დაგაწვიმა, სახლს არ გადახურავ.

დღევანდელი რეალობის გამო ზოგს დისკომფორტს ევროპაში ფრენის შეზღუდვა უქმნის, ზოგს ტრანსპორტით გადაადგილება, ზოგს კი მინიმალური შემოსავალი, რომელიც საარსებოდაც არ კმარა, არა თუ ელემენტარული ყოფისთვის; თუმცა, როდის იყო მთა და ბარი გასწორებული? ამიტომ, იცი, რა უნდა ქნა? როგორც შეგიძლია, დიდმაც და პატარამაც, მაქსიმალურად გაორმაგებულად უნდა იშრომო, რათა იარსებო, უკეთესი შექმნა და ამ პირობებში გლობალურ მდგომარეობას პასუხი ღირსეულად გასცე.

იზა იანვარაშვილი

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების პროგრამის მე-2 კურსის სტუდენტი

იცნობდეთ სჯსუელებს

2021 წელს, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტუდენტთა კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრის ერთობლივი რუბრიკა „იცნობდეთ სჯსუელებს" კვლავაც გაგაცნობთ ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

ფიქრია ჯიშკარიანი, ***კერძო სკოლა „მზექას" მასწავლებელი:***

დღევანდელ სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღი განათლებაა. დენი დიდრო ამბობდა: განათლება ადამიანს ღირსებას მატებს, როდესაც იწყებს იმის გააზრებას, რომ მონობისთვის არ არის დაბადებული.

2012 წელს დავამთავრე ქ. ვალის №1 საჯარო სკოლა. არასდროს მიფიქრია, რომელ უნივერსიტეტს ავირჩევდი განათლების მისაღებად, რადგან ახალციხეში უკვე არსებობდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომლის შესახებაც ძალიან ბევრი კარგი რამ მსმენოდა.

ამავე წელს ჩავაბარე განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე (ინგლისური-დამატებითი სპეციალობა), სადაც ნამდვილად გამართლდა ჩემი მოლოდინი – საუკეთესო პროფესორები, პირობები, ურთიერთობები, საჭიროებები... აქ ყველაფერი იყო იმისთვის, რომ სათანადო განათლება მიმეღო.

აქვე გავაგრძელე სწავლა და მივიღე მაგისტრის ხარისხი საქართველოს ისტორიაში. მინდა აღვნიშნო, რომ უნივერსიტეტი თანაბარ საშუალებას გაძლევს, ბაკალავრის საფეხურზე დაეუფლო როგორც ძირითად, ასევე, მეორე (Minor) პროფესიას და იმუშაო ორივე განხრით. თვალნათელი მაგალითი იყო ჩემთვის ეს, რადგან ვმუშაობ, როგორც ისტორიის, ასევე, ინგლისური ფილოლოგიის განხრითაც.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, მიღებული განათლება შეესაბამებოდეს უმაღლეს დონეს და სტანდარტებს, რაც საუკეთესო მომავლის საწინდარია.

2020 წელს ჩავაბარე მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელი გამოცდა ინგლისურ ენაში და ამჟამად ვეუფლები მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიან პროგრამას.

პანდემიის გამო, სწავლება ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობს და მინდა ვთქვა, რომ იმდენად გამართული და პროგრესირებადია ყოველგვარი მატერიალურ-ტექსნიკური ბაზით, ძლიერი პროფესიონალებით, რომ საშუალებას გვაძლევს, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩართულ პედაგოგებს, ავიმაღლოთ ჩვენი დონე და განათლების სფეროში თანამედროვე სტანდარტებს შესაბამისად მოვერგოთ.

მომავალ წელს ვაპირებ ჩავაბარო დოქტორანტურაში. ეს ის უნივერსიტეტია, სადაც საჭიროა მხოლოდ მონდომება და სადაც გეძლევა იმის საშუალება, მიიღო შესაბამისი განათლება.

არასდროს მომბეზრდება, ღიად ვისაუბრო ჩემს უნივერსიტეტზე, რომელმაც მომცა საკუთარი თავის რწმენა, სწორი მიმართულება, შემძინა ბრძოლის უნარი, უფრო მეტად შემაყვარა სწავლა და ყველაზე მთავარი – მომცა უმაღლესი განათლება. მე ამაყი ვარ, რომ მქვია სჯსუსელი.



გიორგი სუხიაშვილი, ***ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტი:***

აირჩიო პროფესია – ეს ყველაზე ძნელი გადასაწყვეტია თითოეული აბიტურიენტისთვის, მაგრამ აირჩიო ადგილი, რომელიც პერსპექტივას და ხარისხიან განათლებას მოგცემს, კიდევ უფრო ძნელი.

ვამაყობ, რადგან ვეუფლები იმ პროფესიას, რომელიც ცხოვრებისეულ სირთულეებთან და გამოწვევებთან გამკლავებაში დამეხმარება.

გამიმართლა, რომ ვსწავლობ უნივერსიტეტში, რომელმაც ჩემი ოცნებები რეალობად აქცია.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ადგილი ხარისხიანი განათლების მისაღებად.

ჯერ მხოლოდ ერთი სემესტრია, რაც სჯსუ-ის სტუდენტი ვარ და დანამდვილებით შემიძლია ვთქვა – იღბლიანია ყველა ის სტუდენტი, ვინც ამ დიდი ოჯახის წევრია.

ირაკლი ხაჩიძე ***ინფორმაციული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულია და სამაგისტრო პროგრამაზე კვლავ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს.***

ირაკლი ვიდეო თამაშების დეველოპერია და, ამავდროულად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული მასწავლებელი კომპიუტერული ქსელისა და სისტემების პროფესიულ პროგრამაზე.

„ბავშვობიდან დიდ ინტერესს იწვევდა თანამედროვე ტექნოლოგიები ჩემში; სწორედ ამიტომ, სკოლის დასრულების შემდეგ, ერთადერთ მიმართულებად ინფორმაციულ ტექნოლოგიებს განვიხილავდი, რამაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმიყანა. აქ მივიღე დიდი ცოდნა, გამოცდილება და ახალი შესაძლებლობები. უნივერსიტეტმა მომცა ჩემს პროფესიაში სხვადასხვა მიმართულებით განვითარების საშუალება და, ალბათ, დამეთანხმებით, რომ არჩევანის საშუალება დიდი უპირატესობაა.

ამჟამად სწავლას ვაგრძელებ ბიზნეს-ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამაზე, რა თქმა უნდა, ისევ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

იმედი მაქვს, ჩვენი რეგიონის მომავალი თაობა სწორ არჩევანს გააკეთებს და აირჩევს ჩვენს უნივერსიტეტს, რითაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის და რეგიონის განვითარებას.

თამთა პლაჭიაშვილი, ***ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ეკონომიკის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი:***

აი, უკვე მიიწურა სტუდენტობის პირველი სემესტრი და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გამიმართლა, ზუსტად იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო და ვაკეთებ იმას, რაც სიამოვნებას მანიჭებს.

მომავალი პროფესიის არჩევისას უამრავი იდეა მიჩნდებოდა. საბოლოოდ არჩევანი ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამაზე შევაჩერე, რადგან ვთვლი, რომ ეკონომიკა ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროშია აუცილებელი.

მართალია, სწავლის, ცოდნის მიღების გზაზე მრავალი სირთულე მხვდება (ეკონომიური სიდუხჭირე, სწავლის სირთულე), მაგრამ მე მაინც მტკიცე ნაბიჯებით მივისწრაფი წინ და თან დავითის სიბრძნით ვიმხნევებ თავს: „ სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების".

მჯერა კეთილი ადამიანების თანადგომისა, მჯერა ჩემი საყვარელი პედაგოგების ცოდნისა და გამოცდილებისა. მწამს, რომ აუცილებლად წარმატებით მივაღწევ იმ „გატკბილებულ" კენწეროს.

თიკა პაქსაძე, ***ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი:***

სკოლის დასრულების შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, ჩამებარებინა ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე,

რადგან ბავშვობიდანვე მიზიდავდა ბიზნესის სფერო.

კურსდამთავრებულთა რეკომენდაციითა და მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ჩავაბარე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უკვე ერთი სემესტრია, ვსწავლობ და მიხარია წარმატებისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯები.

უნდა აღვნიშნო, რომ სტუდენტებს ინტენსიურად გვეძლევა ინფორმაცია, მრავალი საინტერესო ტრენინგის, აქტივობის, პროექტისა თუ გაცვლითი პროგრამის შესახებ, რაც ხელს უწყობს როგორც პროფესიულ განვითარებას, ისე პიროვნულ ზრდას.

ჩემი ერთ-ერთი მთავარი მიზანია ცოდნის მიღება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალისგან მომავალი პროფესიის დასაუფლებლად.

ვერიკო ჯავახიძე, ***გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიანტი:***

პროფესიის არჩევისას დიდხანს არ მიფიქრია, რადგან დედა და ოჯახის წევრები მასწავლებლები არიან. მეც გადავწყვიტე, გავმხდარიყავი მასწავლებელი.

დადებითი რეპუტაციისა და სწავლების მაღალი ხარისხის

გამო, არჩევანი შევაჩერე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. დარწმუნებული ვარ, აქ მიღებული ცოდნით წარმატებული მასწავლებელი გავხდები.

მასწავლებლისთვის ამოსავალი კრედო უნდა იყოს – „ისწავლე, რათა ასწავლო!" მე ძალიან ბედნიერი ვარ და მადლიერი, რომ გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიის სახით წახალისება მივიღე. ფონდის მიერ ინიცირებული სასტიპენდიო პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს პედაგოგის პროფესიის პოპულარიზაციას, დამატებითი მოტივაცია გაუჩინოს მომავალ პედაგოგებს, გახდნენ წარმატებულები და მოტივირებულები თავიანთ საქმეში.

მინდა, დიდი მადლიერება გამოვთქვა ფონდის მიმართ, რადგან იგი ხელს უწყობს რეგიონში მცხოვრებ მომავალ პედაგოგებს.

აღმოაჩინე შენი გზა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად!

იქ, სადაც გელიან, ოცნებას გისრულებენ, გეხმარებიან, გვერდში გიდგანან, შენთან არიან!

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge